შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №10. დეკემბერი. 2012.

ახალი წარმატებებისათვის ვიბრძვით

რამდენიმე დღეში ახალი, 2013 წელი შემოაღებს კარს. ვაფასებთ რა განვლილ წელს, ვთვლით, რომ იგი წარმატებული გახლდათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. ამ პერიოდში ძირითადი აქცენტები სწავლების ორგანიზებისა და სწავლის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული.

ყოველწლიურად უნივერსიტეტი საზღვარგარეთის არა ერთ უმაღლეს სასწავლებელთან აფორმებს ხელშეკრულებას. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი გახლდათ. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა უცხოეთის 16 ქვეყნის, მათ შორის აშშ-ს, აზერბაიჯანის, გერმანიის, თურქეთის, ესტონეთისა და სხვა უნივერსიტეტებთან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა საქართველოს ორმოცამდე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურასთან, სადაც სტუდენტები სპეციალობების მიხედვით შეძლებენ საწარმოო პრაქტიკის გავლას. მემორანდუმი გაფორმდა რეგიონულ მედია – საშუალებებთანაც, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში.

2012 წელს ჩვენმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა ოთხ საზაფხულო, ჩერქეზულ-ადიღეურ, გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის მიერ ორგანიზებულ, ქართველოლოგიისა და იულიხის სამეცნიერო ცენტრის ქართულ-გერმანულ სკოლას. თავის მხრივ ჩვენმა სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა თურქეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტებში ორგანიზებულ ხუთ საზაფხულო და ერთ ზამთრის სკოლაში.

ERASMUS MUNDUS-ის გაცვლითი პროგრამა უკვე წლებია აქტიურად მოქმედებს ჩვენს უნივერსიტეტში. დღეისათვის მოქმედი 4 პროექტის ფარგლებში შვიდი სტუდენტი გაემგზავრა საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენთან მოქმედებს ტემპუსის რვა პროექტი და Seventh Framework Programme, რომელთა ფარგლებში პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი. ნორვეგიის სამთავრობო გრანტის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტის 4 სტუდენტი სწავლობს (ერთი წლით) ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტში.

2012 წელს უნივერსიტეტში წარმატებულად წარიმართა სასწავლო პროცესი. პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შედგენილი იქნა არაერთი სახელმძღვანელო და საინფორმაციო მასალა ქართულ ენაზე. დაიწყო და აქტიურად ხორციელდება ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის პროცესი.

გარდა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისა უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიებაში და ხშირად თავად გახლდათ მნიშვნელოვანი წამოწყებების ორგანიზატორიც. ჩვენ მიერ იქნა ორგანიზებული ქართული და უცხოური სამთავრობო და დიპლომატიური დელეგაციების ვიზიტები.

ჩვენი უნივერსიტეტი არც ღვაწლმოსილ ადამიანებს ივიწყებს, იმართება მათი იუბილეები და აუდიტორიებს ენიჭება მათი სახელები, რაც მომავალი თაობებისათვის ღირსეული მაგალითი გახლავთ.

ჩვენი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საქველმოქმედო ღონისძიებების, კონცერტებისა და სპექტაკლების ორგანიზებაში. იმართება სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები, რაც სტუდენტურ ცხოვრებას უფრო მიმზიდველს ხდის.

მიუხედავად ამისა, არ ვჯერდებით მიღწეულს და ახალი წარმატებებისათვის ვიბრძვით. ჩვენ დიდი ამბიცია გაგვაჩნია შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი უნივერსიტეტის სტატუსი არა მარტო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამის მიღწევა კი მხოლოდ ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი, მხოლოდ სტუდენტებთან თანამშრომლობით შევძლებთ დავძლიოთ ახალი გამოწვევები და შევინარჩუნოთ წლებით მოტანილი ღირსება.

მინდა გულითადად მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, თითოეულ თანამშრომელს, თანაქალაქელებსა და სრულიად საქართველოს. გისურვებთ მშვიდობას, წარმატებებსა და გამარჯვებებს. უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!

რსუ-ს რექტორი, პროფესორი

ალიოშა ბაკურიძე

მილოცვა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს

მოგესალმებით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და შობა-ახალ წელს გილოცავთ!

14 წლის წინ გავხდი სტუდენტი და კარგად მახსოვს მაშინდელი განცდები. ძალიან მიხაროდა და მთელი მონდომებით ვსწავლობდი, მაგრამ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრი პრობლემის წინაშე გვიწევდა გამკლავება. თუმცა მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, სტუდენტობა მაინც ყველასთვის საყვარელი პერიოდია, ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისეთი პრობლემების გადალახვა გვიხდება, რომლებიც სხვა ვითარებაში წარმოუდგენლად გვესახება. სტუდენტობისას, დარწმუნებული ვიყავი, რომ საკუთარ ოჯახს, რეგიონს, ქვეყანას რაიმე კუთხით უნდა გამოვდგომოდი და დარწმუნებული ვარ, თქვენც იგივე გრძნობები გამოძრავებთ.

თქვენც, ისევე როგორც მე, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს, გარდამავალ ეპოქაში გიწევთ სტუდენტობა, სწორედ ამიტომ მინდა გისურვოთ, რომ დამდეგი 2013 წელი თოთოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს რადიკალური ცვლილებების, სიახლეების, ინოვაციებისა და იდეებით დატვირთული წელიწადი. აქვე მინდა ვისურვო, რომ მომავალი წელი ქვეყნის განვითარების გზაზე გარდამტეხი აღმოჩნდეს. თქვენ ჩვენი კუთხის, ჩვენი ქვეყნის მომავალი ხართ და სწორედ თქვენ უნდა დაიწყოთ და გააგრძელოთ ის საქმეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას წარმოაჩენს ჯერ რეგიონის, შემდეგ კი ევროპული ოჯახის სრულფასოვან და წამყვან წევრად. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენი სტუდენტობის ხანა იყოს მაქსიმალურად საინტერესო და ნაყოფიერი.

არჩილ ხაბაძე,

აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე

ლექცია თემაზე: „სიმბოლო კულტურულ ანთროპოლოგიაში“

მშვიდობის კორპუსის მოხალისემ, ბერკლის (კალიფორნია) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, კონორ ჰარტნეტმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის დოქტორანტ თამთა ხალვაშთან ერთად სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებისთვის ლექცია წაიკითხა თემაზე: „სიმბოლო კულტურულ ანთროპოლოგიაში“. კონორ ჰარტნეტმა კულტურის ანთროპოლოგიური გაგება, სიმბოლოების ენა და მათი როლი კულტურაში პუებლოს (ინდიელთა კულტურა, აშშ) და ძველი ქართული კულტურის სიმბოლოებისა და კულტურული არტეფაქტების შედარების საფუძველზე განიხილა. ლექციის მიზანი იყო სტუდენტებისათვის გაეცნო სიმბოლოები კულტურაში, კულტურათა შორის განსხვავებანი და უნივერსალური ღირებულებები ანთროპოლოგიური პერსპექტივის თვალთახედვით. ახალგაზრდები ამერიკულ/დასავლურ ანთროპოლოგიაში გავრცელებულ კულტურის გააზრებისა და ინტერპრეტაციის თანამედროვე მიდგომებს გაეცნენ. კონორ ჰარტნეტმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა ეკონომიკური, აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების მიმართულებით.

ლექცია: „საერთაშორისო განვითარება (თეორია და პრაქტიკა)“

აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიებისა და ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების სტუდენტებმა მოისმინეს მშვიდობის კორპუსის მოხალისის, კონორ ჰარტნეტის ლექცია: „შესავალი საერთაშორისო განვითარებაში (თეორია და პრაქტიკა)“. დახმარებას უწევდა ბსს მე-4 კურსის სტუდენტი, ამერიკის გაცვლითი პროგრამის მონაწილე დავით ჯინჯიხაძე. მომხსენებელმა განიხილა ძირითადი აკადემიური თეორიები საერთაშორისო განვითარების სფეროში და წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური განვითარების პროცესში. ლექციის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტებისათვის საერთაშორისო განვითარების შესახებ თანამედროვე თვალსაზრისის გაცნობა და ჩვენება იმისა, თუ რა გავლენას ახდენენ საერთაშორისო ორგანიზაციები გეოპოლიტიკაზე, როგორია მათი ზემოქმედება მსოფლიო ეკონომიკაზე ზოგადად და კონკრეტულად განვითარებად ეკონომიკაზე. შეხვედრამ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ განსხვავებულ საგნებს სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, ინტეგრირებული პერსპექტივის თვალსაწიერიდან დაანახა ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროთა ურთიერთქმედება.

ლექცია: „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები“

კონორ ჰარტნეტმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახლემწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა პაატა ჩაგანავამ ლექცია წაიკითხეს თემაზე: საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები . სტუდენტები გაეცნენ წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის ცენტრალური ბანკი) და მათი ზემოქმედების შესახებ ეკონომიკურ განვითარებას, საერთო ევროპული ბაზრისა და ვალუტის გავლენას პერიფერიულ ევროპულ ეკონომიკაზე. ინფორმაცია მიეწოდათ საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე, იდეოლოგიასა და მათ ურთიერთობებზე მოვალე ქვეყნებთან. ახალგაზრდები აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების მაგალითზე ევროპულ ეკონომიკურ საზოგადოებაში ინტეგრაციის მოსალოდნელ შედეგებს გაეცნენ.

ლექცია: **„შესავალი კულტურულ ანთროპოლოგიაში“**

მომხსენებელმა კონორ ჰარტნეტმა ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების სტუდენტებს კულტურული ანთროპოლოგიის ძირითადი ცნებები (კულტურის ანთროპოლოგიური დეფინიცია), უნივერსალური ღირებულებები და კულტურათა შორის განსხვავებანი გააცნო. ამასთანავე, საუბარი შეეხო ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და ეთიკის საკითხებს.

შუშანა ფუტკარაძე - 70

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს-პროფესორს, ცნობილ ენათმეცნიერს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 45 წელი შეუსრულდა. ცნობილ ქართველ მეცნიერს იუბილე მიულოცეს, დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავამაიშვილმა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ, კოლეგებმა, უცხოეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

საიუბილეო საღამოსა და სამეცნიერო კონფერენციაზე მკვლევრებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ შეაფასეს მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა. ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე ამ ხნის მანძილზე იკვლევდა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების - აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ონომასტიკას, აქაურთა ქართულ მეტყველებასა და დიალექტებს, უცხოეთში (კერძოდ, თურქეთში) არსებულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა და აღიწერა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 83000 ერთეულით და 10000 -ზე მეტი ერთეულის მქონე ამავე სავანის არქივი. მისი ავტორობით შეიქმნა ორი მონოგრაფია: „ჩვენებურების ქართული“ და „სტამბოლის ქართული სავანე“. თურქულ ენაზე გამოვიდა მნიშვნელოვანი გამოკვლევა “Istanbul gürcü ocağı”. გამოსაცემად გამზადებული აქვს წიგნები: „ჩვენებურების ქართული“ (მეორე ტომი), ნაშრომების კრებული „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ეტიუდები“, მესხეთ- ჯავახეთსა და აჭარაში შეკრებილი ისტორიულ-ენათმეცნიერული ჩანაწერები- “ხალხური მარგალიტები“, „საბერძნეთისა და ოსმალეთის სამეფო კარის ქართველი დედოფლები“, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“, „ტაო-კლარჯული კილოები“ და სხვა.

ცნობილმა პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ პირველმა შეისწავლა ტაო-კლარჯული დიალექტებისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებანი და ცალკე დიალექტურ ერთეულებად გამოყო ოთხი ახალი ქართული კილო - იმერხეული, ტაოური, ნიგალური და მაჭახლური.

აღსანიშნავია შუშანა ფუტკარაძის ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევაში. მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად წარმოჩნდა ამ მხარის ბევრი ისტორიული პირის ვინაობა. მათ შორის აღსანიშნავია: გიორგი ჯვარელი (შავშეთელი მოღვაწე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამშენებელი), იოანე შავთელი (შავშეთელი დიდი პოეტი, შოთა რუსთველის თანამედროვე, სოფელ შავთის მკვიდრი), მართა იერუსალიმელი, წამებული წმ. თევდორე აჭარელი (პირველი, საკუთარი სახელით ცნობილი წამებული აჭარიდან), ახმედ და აბას ათაბაგები - თავისუფლებისათვის წამებულნი (ფოცხოვიდან), დუდი-ხანუმ ბეჟანიძე (შერიფ ხიმშიაშვილის დედა), ენვერ, ფიქრიე და მელაათ ხიმშიაშვილები, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე და სხვა მრავალი.

შუშანა ფუტკარაძე არის ხულოსა და შუახევის რაიონების საპატიო მოქალაქე, წმ. ტბელ აბუსერისძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია გევონდ ალიშანის საპატიო მედლით და სხვადასხვა უწყებების მიერ გაცემული საპატიო სიგელებით.

ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტის „WEBB“ წარდგინება

ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტის „WEBB - მთელი ევროპა საზღვრებს მიღმა კოორდინატორი, ბოლონიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ფრანჩესკა მალტაურო და „BACKIS - შავ და კასპიის ზღვებს შორის კოორდინატორი, მონპელიეს უნივერსიტეტის წარმომადგენელი კოლინ ვოლე უნივერსიტეტის სტუდენტებს, მკვლევრებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შეხვდნენ და პროგრამაში მონაწილეობის პირობები გააცნეს. პროექტი WEBB ითვალისწინებს ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, პოსტდოქტორანტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის (ტრენინგი, სწავლება, კვლევა) მობილობას პროექტის პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში.

პროექტი სრულად აფინანსებს გრანტის მფლობელის მასპინძელ უნივერსიტეტში მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს. ასევე სტუდენტები ღებულობენ ყოველთვიურ სტიპენდიას 1000-1500 ევროს ოდენობით, მკლევრები - 1800 ევროს, აკადემიური პერსონალისათვის დასაშვებია მობილობა 1-3 თვის ხანგრძლივობით, თვიური ანაზღაურება 2500 ევრო. გარდა 6-10 თვიანი გაცვლებისა, პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაძლებელია კონსორციუმის წევრ ევროპის უნივერსიტეტში მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მოპოვება. აპლიკაციების შევსება დაწყებულია და გაგრძელდება 2013 წლის 15 იანვრამდე.

გასულ წელს მსგავსი მობილობის პროგრამით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6 სტუდენტი დაფინანსდა გიოტინგენისა და ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ უნივერსიტეტში სწავლისათვის. ერთმა პროფესორმა გაიარა სტაჟირება ტალინის უნივერსიტეტში, ამავე პროგრამის მეორე ეტაპისათვის აპლიკანტთა შერჩევა ამჟამად მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში ცნობილი გახდება მომდევნო სტიპენდიანტების ვინაობა.

ერაზმუს მუნდუსი (Erasmus Mundus) არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხსა და კულტურებს შორის პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

ევროკომისიამ შეცვალა თავისი მიდგომა ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტების მიმართ და თუ აქამდე ქართულ უნივერსიტეტებს ყოველწლიურად ერთ კონსორციუმში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ, მიმდინარე წელს 11 ქართული უნივერსიტეტი 9 სხვადასხვა კონსორციუმშია ჩართული, რაც განსაკუთრებით ზრდის ევროპაში სწავლისა და კვლევის მსურველთა შანსს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროექტის ვებ-გვერდი

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ბოლონიის უნივერსიტეტი, იტალია;
2. კა-ფოსკარის უნივერსიტეტი, ვენეცია, იტალია;
3. პავიას უნივერსიტეტი, იტალია;
4. კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი;
5. გენტის უნივერსიტეტი, ბელგია;
6. ლაიპციგის უნივერსიტეტი, გერმანია;
7. ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი;
8. ტურკუს უნივერსიტეტი, ფინეთი;
9. პოიტიერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
10. ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი.

პროექტში ჩართული არაევროპული უნივერსიტეტები:

1. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
3. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი);
6. ხაზარის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი);
7. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
8. ვიტებსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბელორუსია);
9. ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
10. რუსოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდოვა).

საჯარო ლექცია თემაზე: „გენდერული თანასწორობა და ქალის პოლიტიკურად გაძლიერება“

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ახორციელებენ პროექტს „ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი“. პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას გენდერულ და ქალის პოლიტიკურად გაძლიერების საკითხებზე. პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, ფსიქოლოგიის დოქტორმა — ირინა ჟვანიამ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „გენდერული თანასწორობა და ქალის პოლიტიკურად გაძლიერება“.

ბსუ-ში ევროკავშირის კუთხე გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ევროკავშირის კუთხე გაიხსნა. პროექტი სახელწოდებით „საქართველო ევროპაში“ არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“ ორგანიზებით ხორციელდება. მისი მიზანია მოსახლეობის ინფორმირება ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის პროცესების შესახებ. ევროკავშირის კუთხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქებში - თბილისში, ქუთაისში, თელავში, ფოთში და ახალციხეში გაიხსნა.

გულითა და დიდი სიყვარულით ძვირფას უნივერსიტეტს, სტუდენტებს, მთელ საქართველოს ვულოცავ ახალ 2013 წელს. ვუსურვებ ულევ სიხარულს, ბედნიერებას, სიყვარულს, სამშობლოს ძლიერებას, მტრის დათრგუნვას და მოყვასის გამრავლებას კეთილსინდისიერებითა და ურთიერთმხარდაჭერით ყველა სურვილის ფრთაშესხმას. იხარეთ, იბედნიერეთ, ღმერთი ფარავდეს თითოეული ჩვენგანის სავალ გზას. დაგბედებოდეთ ნატვრის ახდენა და ერთმანეთის ახდენილი ოცნების სიხარულით მიღება, რადგან სწორედ, რომ ერთმანეთის სიყვარული და გატანა გადაგვარჩენს. მჯერა, ეს წელი იქნება გაჩენილი იმედების გამართლების წელი.

ფინანსების, აღრიცხვისა და
აუდიტის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
ასიკო ცინცაძე

უნივერსიტეტში „წარჩინებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდი“ დაფუძნდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა როგორც სამეცნიერო, ასევე კულტურულ და ეროვნულ ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეული „სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახური“, რომელიც 2005 წლიდან ფუნქციონირებს. წლების განმავლობაში სამსახური ახორციელებს სტუდენტურ, სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებით, კულტურულ თუ საქველმოქმედო ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტთა დასაქმების პროგრამების კვლევას.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის მთავარ პრიორიტეტს სტუდენტის საკონსულტაციო მომსახურება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა წარმოადგენს. სამსახურში წლების განმავლობაში სტუდენტების თხოვნების, სურვილების, იდეების, პრობლემების საფუძველზე დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სტუდენტისთვის მთავარ პრობლემას მაინც მუდმივად სწავლის საფასურის დაფარვა წარმოადგენს. სტუდენტთა დიდი ნაწილისთვის მათივე ოჯახების მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება სწავლის საფასურის დაფარვა და აქედან გამომდინარე, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტთა დახმარების მიზნით, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები წლების განმავლობაში აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდამჭერ, საქველმოქმედო ღონისძიებებში.

სწავლის საფასურთან დაკავშირებით შეღავათების მინიჭების მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის ორგანიზებით ყოველწლიურად ხორციელდება სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“. პროგრამა მიზნად ისახავს აკადემიურად წარმატებული და სოციალური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსებას სხვადასხვა პროცენტული ოდენობით. სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ — 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრშიც განხორციელდება.

პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით დააკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. სტუდენტები, რომლებიც იღებენ ფინანსურ სარგებელს უნივერსიტეტიდან (სახელობით/ჩვეულებრივ ან სხვა სახის სტიპენდიას) ან გააჩნიათ სახელმწიფო სასწავლო გრანტი, პროგრამაში არ განიხილებიან.

პროგრამის მიხედვით შეღავათები მიენიჭება:

ა) სტუდენტს, რომელსაც 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს შეფასება ძალიან კარგი (81 და მეტი ქულა);

ბ) სტუდენტს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000 ზე);

გ) სტუდენტს, რომელიც არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;

დ) სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი;

ე) სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით);

ვ) სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი;

ზ) სტუდენტს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე.

უნივერსიტეტში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მუდმივად დგას საკითხი, თუ როგორ, რა გზებითაა შესაძლებელი სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფარვა.

გარდა ზემოთ ხსენებული სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს შესაბამის პროგრამებს სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის, რომლითაც ასეულობით სტუდენტი დაფინანსდა. უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივით, პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტების ძალისხმევით, ყოველწლიურად განხორციელებული სხვადასხვა სახის საქმელმოქმედო ღონისძიების მეშვეობით შეგროვილი თანხით (დაახლოებით რვაათასი ლარი) დამატებით დაფინანსდა გარკვეული კატეგორიის სტუდენტები. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა ბატონმა ავთანდილ ბარათაშვილმა ამ მიზნით ათიათასი ლარი შემოსწირა უნივერსიტეტს, მასვე დაწესებული აქვს სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სახელობითი სტიპენდია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა აღნიშნულ თანადგომას ორგანიზებული სახე მისცემოდა და „წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი“ დააფუძნა, რომელშიც გაწევრიანება ნებისმიერ პირსა და ორგანიზაციას შეუძლია. ვფიქრობთ, სტუდენტის მატერიალური მდგომარეობა არ უნდა

ახდენდეს უარყოფით გავლენას სწავლის შესაძლებლობაზე. უნივერსიტეტმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს მსგავსი სტუდენტების მხარდაჭერა და წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა. პირი, რომელიც იზიარებს საზოგადოების მიზნებს და აქტიურად უჭერს მხარს საზოგადოების საქმიანობას, საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს საზოგადოების საპატიო წევრად.

ფონდის მიზანია, მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, სტიპენდიებით უზრუნველყოფა და დასაქმების ხელშეწყობა,

მხარდაჭერის ფონდი მოახდენს მატერიალური და ფინანსური რესურსების დაგროვებას, საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობას, ჩაატარებს სხვა და სხვა სახისა აციებს, განახორციელებს პროექტებსა და პროგრამებს უნივერსიტეტის სტუდენტთა მატერიალური და საგანმანათლებლო მხარდაჭერის მიზნით. ითანამშრომლებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სხვა და სხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, ეპარქიასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან.

ფონდს ექნება საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც აისახება ყველა საინტერესო ინფორმაცია, განთავსდება ფოტო-ვიდეო მასალა, ინტერნეტ ბანკინგი, ქველმოქმედი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ ინფორმაცია. მოხდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების და შემომწირველთა ელექტრონული რეგისტრაცია. დაგეგმილია საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტებისა და ბანერების დამზადება, ფონდის საბანკო რეკვიზიტების მასმედიის საშუალებებით გავრცელება.

ასევე მობილური კავშირების საშუალებით ფონდის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის უზრუნველყოფის მიზნით ოპერატორებთან შეთანხმების გაფორმება, სოციალური ქსელების მეშვეობით ფონდის პოპულარიზაცია, უნივერსიტეტში ფონდის საინფორმაციო დაფის განთავსება. ფონდის სახელით გაიცემა სიგელები, დიპლომები, სერთიფიკატები და მადლობის წერილები. ფონდის საქმიანობის პრიორიტეტად, ფინანსური მხარდაჭერის გარდა, განისაზღვრება საზამთრო და საზაფხულო ბანაკების, პროფესიული ტრენინგების, უცხოური ენების შემსწავლელი ჯგუფების ორგანიზება, საერთაშორისო სტუდენტური გაცვლითი პროგრამების მოძიება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის.

„წარჩინებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდი“-ს დაარსება უპრეცედენტო შემთხვევაა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში. ფონდის დაარსებას უნივერსიტეტის რექტორთან ერთად დადებითად გამოეხმაურნენ როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და გამოთქვეს მოსაზრებები.

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ქველმოქმედებითა და სტუდენტებისადმი თანადგომით. წლებია, რაც ტრადიციად დამკვიდრდა სოციალურად შეჭირვებული, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, ობოლი და ამავე დროს წარმატებული სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარება.

დღეს უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდის დაფუძნების შესახებ, რომლის მთავარი დანიშნულება იქნება ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის ფინანსური მხარდაჭერა, სტიპენდიის დანიშვნა და დასაქმებაში ხელშეწყობა. ფონდის მუშაობაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს როგორც უნივერსიტეტის პროფესურამ და ადმინისტრაციამ, ასევე ნებისმიერმა მსურველმა, ვისაც გული შესტკივა თითოეული ახალგაზრდის მომავალ წარმატებაზე.

ფონდის დაფუძნებაში აქტიურადაა ჩაბმული სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური, დეკანატები, პროფეორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რისთვისაც მათ გულწრფელად ვუხდით მადლობას.

მინდა გზა დავულოცო ფონდს მომავალ საქმიანობაში და ვუსურვო წარმატებული და აქტიური მოღვაწეობა“, — **საუბრობს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე.**

„მივესალმები იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში შეიქმნა წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდი, რომელიც სტუდენტებს სწავლის დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით გაუწევს დიდ დახმარებას. ფონდის დაარსებამდეც იყო მცდელობა, როცა ლექტორ-მასწავლებლები აგროვებდნენ გარკვეულ თანხას და ეხმარებოდნენ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში. ამის ნათელი მაგალითია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის მიერ ჩემი, როგორც ერთ-ერთი სტუდენტის მიმართ გაწეული დახმარება. ჩამირიცხეს სწავლის საფასური, რის საფუძველზეც მომეცა სწავლის გაგრძელების საშუალება, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. მიხარია, რომ ასეთ ქველმოქმედებას ოფიციალური სახე მიეცა ფონდის სახით“, — **ამბობს ლანა ბურკაძე, რომელიც შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის მაგისტრანტია.**

მარინა გიორგაძე, პროფესორი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: „ვფიქრობ, წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა“ ფონდის დაარსება დროული და საჭირო ინიციატივაა. წლების მანძილზე პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სხვადასხვაგვარ ღონისძიებებს ვატარებდით, რომ დავხმარებოდით წარმატებულ სტუდენტებს, დაეფარათ სწავლის საფასური (საქველმოქმედო კონცერტები, სტიპენდიის დანიშვნა კონკრეტული სტუდენტისათვის, შემოწირულობათა შეგროვება და ა.შ.). ფონდის მეშვეობით ამ ყველაფერს უფრო ორგანიზებული სახე მიეცემა.

ფონდის არსებობისათვის საჭიროა მისი მუდმივად შევსება შემოწირულობებითა და სხვა თანხებით. ჩემი წინადადებაა, ყოველთვიურად ფონდში გადაირიცხოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელფასის 1%. არა მგონია, ამ ინიციატივაზე ვინმემ უარი თქვას. ამ გზით ფონდს ექნება თანხები ნორმალურად ფუნქციონირებისათვის და სტუდენტებიც რეალურად იგრძნობენ ჩვენს თანადგომას.

„ბათუმის სახელმწიფო“ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და აკადემიური პერსონალი ყოველთვის განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მიმართ. ამ მიზნით, უნივერსიტეტი რამდენიმე წელია ახორციელებს სოციალურ პროგრამებს, წახალისებისა და მატერიალური მხარდაჭერის მიზნით ხდება ფრიადოსნობის, საუნივერსიტეტო სახელობითი და ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების გაცემა.

ამჯერად, უნივერსიტეტში კიდევ ერთ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. 2012 წლის 14 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფე-

სორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება „წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი“-ს შექმნის შესახებ.

უნივერსიტეტის პროფესურამ გამოთქვა სურვილი აქტიურად ჩაერთოს ფონდის საქმიანობაში და მათივე ხელფასიდან ყოველთვიური შენატანების სახით ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადოს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ-მასწავლებლები ყოველთვის ცდილობდნენ დახმარებოდნენ ნიჭიერ და სოციალურად შეჭირვებულ სტუდენტებს, ფონდის შექმნა ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან ქველმოქმედება ორგანიზებულ და ცივილურ სახეს მიიღებს.

დარწმუნებული ვარ, ფონდი მომავალში ბევრ კეთილ საქმეს განახორციელებს და ხელს შეუწყობს სტუდენტების წინსვლას, ხოლო პროფესორ მასწავლებლები უდიდეს მორალურ სიამოვნებას მიიღებენ ამ კეთილ საქმეში მონაწილეობით“, — **მიაჩნია ბიოლოგიის დეპარტამეტნის ხელმძღვანელს, პროფესორ დავით ბარათაშვილს.**

სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური

გულითა და დიდი სიყვარულით ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტ-ახალგაზრდობას.

მინდა ყველას ვუსურვო ჯანმრთელობა, გამარჯვება და წარმატებები, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ საქმიანობაში. მშვიდობა, სიყვარული და ბედნიერება მოეტანოს 2013 წელს ყველასთვის და სრულიად საქართველოსთვის.

ანზორ მახარაძე,
ასისტენტ-პროფესორი

კადრების სამჭედლო

საქართველოს დამოუკიდებლობის დაარსების დღიდან ეკონომიკური განვითარება რთული გზით წარიმართა და გარდაქმნის პროცესმა, რომელიც ეთნოკონფლიქტებითა და სამოქალაქო დაპირისპირებით დაიწყო, ქართველი ხალხი მძიმე სოციალურ მდგომარეობაში ჩააგდო. საქართველოში არსებული ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება ვერ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი უმტკივნეულოდ წარმართულიყო. მოვლენების მოულოდნელი სცენარით განვითარება ხელისუფლებას ერთგვარ გამოცდას უწყობდა. ეკონომიკის დამოუკიდებლად მართვაში გამოუცდელი კადრები აღმოჩნდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებების მექანიკურად შემსრულებელების როლში, ქვეყანა გადაიქცა ამ ინსტიტუტების საცდელ პოლიგონად და თითქმის 5 წლის განმავლობაში გაგრძელდა მძიმე კრიზისული მდგომარეობა. შემდგომი განვითარების ეტაპებიც არ გამოირჩეოდა დიდი წარმატებებით, ვინაიდან ფაქტიურად ვერ ხორციელდებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა და მოსახლეობის ცხოვრების დონე თანდათანობით ეცემოდა. სხვის იმედზე ყოფნით ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული ქვეყნის მართვაში, შეცდომა კი სინამდვილის არასწორი აღქმა შეფასება და მასზე არასწორი რეაგირებაა. ე.ი. ადამიანის აღზრდა მისთვის სინამდვილის აღქმა შეფასებასა და მასზე სწორად რეაგირების სწავლებას გულისხმობს. ამ პრინციპით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კადრების მომზადება, ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აიღო სწორი მიმართულება: ტრადიციული სპეციალობების გვერდით შეიქმნა ეკონომიკური სპეციალობები და აჭარისა და მისი მოსაზღვრე რეგიონების ეკონომიკის კადრებით უზრუნველყოფის მტკივნეული პრობლემების გადაჭრა დაიწყო.

უნივერსიტეტი ყველა განვითარებულ ქვეყანაში არის კადრების სამჭედლო, სამოქალაქო საზოგადოების იმუნური სისტემა, მოწინავე სამეცნიერო და სამოქალაქო იდეების ფორმირებისა და გაჟღერების ადგილი. მაღალი დონის სპეციალისტის აღზრდა იოლი საქმე არ არის, ვინაიდან რაგინდ მაღალ პროფესიონალად ჩამოყალიბდეს პიროვნება, თუ მას არ აქვს მაღალი ზნეობა, მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნებ, ცუდს უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე კარგს. უნივერსიტეტი საზოგადოებისათვის არის არა მხოლოდ კონკრეტული სპეციალური განათლების მიღების, არამედ ქვეყნის მომავლის ფორმირების, განათლებული და ერუდირებული ახალგაზრდობის აღზრდის ადგილი. ეკონომიკური მიმართულების სპეციალობებზე მომზადებულმა ასობით სპეციალისტებმა აჭარაში და მის ფარგლებს გარეთაც შეავსეს კადრების დეფიციტი. **ჩვენი კურსდამთავრებულები ეწევიან საქმიანობას საბანკო, სადაზღვევო, საწარმოო სფეროში და არც თუ იშვიათად საშუალო და მაღალი დონის თანამდებობზე ემსახურებიან ქვეყნის ძლიერების ბალავარს — ეკონომიკას.**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ყოველ წელს მიუხედავად სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებებისა, სულ უფრო ვცილდებით მთავარ მიზანს — მოვიპოვოთ სრულფასოვანი დამოუკიდებლობა, მივაღწიოთ ეროვნულ კეთილდღეობას და ქვეყნის სტაბილურობას. სულ ახლახან ქართველი ხალხის მიერ გაკეთებულმა არჩევანმა, ქვეყნის მმართველობაში ეროვნული, ილიასეული სიბრძნისა და საქმით დამძიმებული კაცის ბიძინა ივანიშვილის მოსვლამ, ბევრ სხვა იმედებთან ერთად გააჩინა იმედი იმისა, რომ უნივერსიტეტის მიერ მომზადებული კადრები დასაქმდებიან სპეციალობების მიხედვით და თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან შეზავებით თანდათანობით ააბიჯებენ პროფესიონალიზმის საფეხურებზე. **დღეს ჩვენი უნივერსიტეტი და განსაკუთრებით ეკონომიკის მიმართულება ვართ სიამაყის გრძნობით სავსე, რადგან აჭარას სათავეში ჩაუდგა ჩვენი აღზრდილი არჩილ ხაბაძე. მას პროფესორ-მასწავლებლები ახასიათებენ, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის, ზნეობრივი, და მორალური გრძნობების მატარებელ პიროვნებას, იგი სტუდენტობაში გამოირჩეოდა წარჩინებული სწავლით, იყო დინჯი, თავაზიანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა. ჩვენ გვჯერა, რომ არჩილ ხაბაძე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით მიიღებს სწორ გადაწყვეტილებებს და შეძლებს შეცვალოს რეგიონის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა, უპატრონოს აჭარას და არავის მისცეს უფლება ჯიჯგნოს იგი.**

ასეთივე სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ აჭარის მთავრობაში ჩამოყალიბებული გუნდი: **ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გიორგი თავართქილაძე, მისი მოადგილეები ბესიკ ბოლქვაძე, რამაზ ბოლქვაძე, დავით ბალაძე ბათუმის უნივერისტეტის აღზრდილები არიან და თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით დიდ წვლილს შეიტანებენ რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.**

უნივერსიტეტი კადრების სამჭედლო, თვით მჭედელის მეცნიერის აღზრდასაც ემსახურება. მათ რიგებში არიან ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიკის კურსდამთავრებულები: **გიორგი აბუსელიძე, ბესიკ ბოლქვაძე, ვლადიმერ ღლონტი, გელა მამულაძე, ირინა ვაშაყმაძე, ირინა თავაძე, ეკა ბახტაძე, რამინ ცინარიძე, ლია ბერიძე, ნარგიზ ფალავანდიშილი, რამაზ ფუტკარაძე, რომლებიც ემსახურებიან ეკონომიკის სფეროს სპეციალისტების აღზრდას.** მათ არანაკლები ტვირთის ზიდვა უწევთ, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ კარგი სპეციალისტის, ჭეშმარიტი ინტელიგენტის აღზრდა ურთულესი ამოცანაა. უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს მხრებზე უდიდესი პასუხისმგებლობა აწევთ. მათი ვალია მომავლის ფორმირება, მისი ჩამოყალიბება და განათლებული, ერუდირებული ახალგაზრდის აღზრდა. ამიტომაც ვართ ამაყი, ვინაიდან გვჯერა, რომ არა მხოლოდ ამ წერილში ჩამოთვლილი ახალგაზრდები, არამედ ყველა ისინი, ვინც მოღვაწეობენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, თავიანთი ცოდნითა და შრომისმოყვარეობით ერთ პატარა აგურს დადებენ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ფინანსების, აღრიცხვისა
და აუდიტის
დეპარტამენტის
ხელძღვანელი,
ასიკო ცინცაძე

„კონსტიტუცია და ხელისუფლების ორგანიზების პრინციპები აშშ-ში“

საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართალმცოდნეობის სპეციალობების სტუდენტებისათვის, მშვიდობის კორპუსის მოხალისეებმა ჯონ რაიტმა და ადამ მალინოვსკიმ ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორ არმაზ კახიძესთან ერთად ლექცია წაიკითხეს თემაზე: „კონსტიტუცია და ხელისუფლების ორგანიზების პრინციპები აშშ-ში“. მათ თარჯიმნობას ამერიკის გაცვლითი პროგრამის მოხალისე ლია ფუტკარაძე უწევდა. მომხსენებლებმა ლექციებზე განიხილეს აშშ-ში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების კონსტიტუციური პრინციპები, ხელისუფლების სტრუქტურა და ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების სისტემა. მომხსენებლებმა სტუდენტებს გააცნეს თუ როგორ ხდება აშშ-ში პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირება და მიღება, საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორია ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილების კონსტიტუციური პროცედურები.

სტუდენტებმა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში (შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, კონსტიტუციონალიზმის საფუძვლები, ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები) მიღებული ცოდნა გაიღრმავეს. მათთვის საინტერესო იყო იმის გაცნობა, თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში აღნიშნული სისტემა აშშ-ში, ასევე, როგორია ამერიკელი სპეციალისტის მიერ ამ სისტემის ფუნქციონირების შეფასება.

„საერთაშორისო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები დაესწრნენ პრეზენტაციას, რომელიც გლობალურ მიკროსაფინანსო სფეროს შეეხებოდა. წარდგინებას უძღვებოდა მშვიდობის კორპუსის მოხალისე ადამ მალინოვსკი, ხოლო თარჯიმნობას უწევდა აშშ-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილე დავით ჯინჯიხაძე. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მრავალ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მოქმედი ძირითადი კონცეფციები და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ახლებური ხედვა. კერძოდ, განხილული იყო გრამენის ბანკის მაგალითი და სიღარიბის დაძლევის გლობალურ ინსტრუმენტი - მიკროსაფინანსო სფერო.

ლექცია თემაზე: „ბავშვთა უფლებები აშშ-ში“

მშვიდობის კორპუსის მოხალისის, ადამ მალინოვსკიმ დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტებისათვის ლექცია წაიკითხა თემაზე: ბავშვთა უფლებები აშშ-ში . მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ამერიკის ისტორიის იმ პერიოდზე, როდესაც ხდებოდა სკოლების სეგრეგაცია, ასევე, ამ პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებზე; ასევე განიხილა აშშ-ში ბავშვთა შრომის გამოყენების საკითხი მე-20 საუკუნის დასაწყისში, სკოლების სეგრეგაცია რასობრივი ნიშნით და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა. მომავალი მასწავლებლებისათვის საინტერესო იყო ბავშვთა უფლებების გაცნობა საერთაშორისო თვალთახედვით. მოხალისეს თარჯიმნობას უწევდა ამერიკის გაცვლითი პროგრამის მონაწილე ლია ფუტკარაძე.

უნივერსიტეტში ემერიტუს სერგო დუმბაძის 75 წლის იუბილე აღინიშნა

ცნობილი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსის — სერგო დუმბაძის დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა გაიმართა. ღვაწლმოსილ პროფესორს ღირსშესანიშნავი თარიღი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, კოლეგებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიულოცეს და მკვლევრის ცხოვრებასა და სამეცნიერო საზოგადოებრივ საქმიანობაზე ისაუბრეს. მეცნიერის კვლევის სფეროს საქართველოს უახლესი პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა მოღვაწეობის წარმოჩენა წარმოადგენს. სერგო დუმბაძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მეოთხე ტომის თანაავტორი, 500-მდე საგაზეთო წერილის, სამეცნიერო სტატიის, მოგონების, მეცნიერული რეცენზიის, 60-მდე მეცნიერული ნაშრომის და 10 მონოგრაფიის ავტორია. მისი ინიციატივით სოფელ ბაკოში სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ დაწესდა.

სერგო დუმბაძე 1937 წლის 20 მაისს ზემო აჭარის ისტორიულ სოფელ ბაკოში დაიბადა; დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა. 1961 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის სტიპენდიატმა წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და შეუდგა პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ხულოს რაიონის სოფელ თხილვანის არასრულ საშუალო სკოლაში. 1970 წელს სერგო დუმბაძე როგორც პერსპექტიული ისტორიკოსი მშობლიურ პედაგოგიურ ინსტიტუტში იწყებს მუშაობას კათედრის ლაბორანტად, შემდეგ იყო უფროსი მასწავლებელი, კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე და ფაკულტეტის დეკანი.

მის კალამს ეკუთვნის წიგნი „სელიმ ხიმშიაშვილის სტრატეგიული მიზანი და მისი განხორციელების გზები . მეცნიერმა განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო მეორე მსოფლიო ომში აჭარიდან წარგზავნილთა გმირობის გაშუქებას „აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში , ნაშრომი „წარუშლელი ფურცელი , ეძღვნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლს მეორე მსოფლიო ომის წლებში. 2007 წელს წელს გამოცსა მონოგრაფია „ისინი იბრძოდნენ ავღანეთში - ავღანეთში მებრძოლი ქართველების შესახებ, ხოლო 2004 წელს საქართველოში პირველად გამოაქვეყნა მონოგრაფია „კავშირგაბმულობა და ფოსტა აჭარაში , რომელშიც ამ დარგის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ღვაწლი წარმოაჩინა. სერგო დუმბაძე ავტორია პუბლიცისტური წერილებისა, როგორიცაა: „სოფელი ბაკო - ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება, „სელიმ ხიმშიაშვილი - საქართველოს ერთიანობისათვის წამებული რაინდი“, „იტალიელი მეცნიერი აჭარის შესახებ“, „დედაენის როლი საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში“, „აბუსერისძე ტბელის თხზულების ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის შესახებ“, ეტიმოლოგიურად ახსნილია „ხიხა“, „ხიხათა“, „ხიხანი“, „შუარტყალა „ხიხაძირი“, „ქოჩახი“, „ერდო და სხვ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობისთვის იგი დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მედლითა და საპატიო სიგელით.

პატივცემულო კოლეგებო!
სტუდენტებო!

გილოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს, დღეგრძელობა და ბედნიერება მოგანიჭოთ უფალმა,რამეთუ, ბედნიერება - ეს სულის თავისუფლებაა, თავისუფლება კი საკუთარ თავზე, მატერიალურ ვნებებზე გამარჯვებაა.

ახალ წელს საერთოდ უკავშირებენ იმედებს უკეთესობისკენ, ამიტომ ყველაფერი კარგი, რაც თქვენ გახალისებდათ გასულ წელს, გაგრძელებულიყოს დამდეგ წელიწადში.

ახალი წელი ყოფილიყოს აღვსილი ახალი გეგმებით, აზრებით, კარგი ამბებით და ფინანსური წარმატებებით! გისურვებთ სიკეთეს, კეთილდღეობას და ყველა თქვენი წამოწყება ყოფილიყოს იღბლიანი ყველგან და ყოველთვის.

ბესიკ ბაუჩაძე,
ასოცირებული პროფესორი

საახალწლო წეს-ჩვეულებები აჭარაში

ხალხის ცნობიერებასა და ყოფაში ახალი წლის დღესასწაულს ყოველთვის ქონდა და აქვს მინიჭებული უდიდესი მნიშვნელობა, რადგან იგი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც წლის უმნიშვნელოვანესი თარიღი, განსაკუთრებული საკრალური დრო, რომელიც ადამიანებისათვის მოასწავებდა სამყაროს სრულ და ყოველმხრივ განახლებას, თითოეულის წინაშე შლიდა ცხოვრების ახალ ფურცელს, თითოეულში აღვივებდა უკეთესი მომავლის იმედს. ამიტომაც იგი გაიაზრებოდა არა მხოლოდ როგორც ყველაზე ხმაურიანი, ჭეშმარიტად საყოველთაო, არამედ, აგრეთვე, როგორც წლის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი დღესასწაული.

ახალი წლის ციკლის წეს-ჩვეულებებს მრავალმხრივი ფუნქციონალური დანიშნულება აქვთ: ოჯახის წევრთა ჯანის სიმრთელისა და ბედნიერების, უხვმოსავლიანობის, საქონელ-ფრინველის სიმრავლის, ოჯახის კეთილდღეობის, იღბლიანობის, მშვიდი და ნაყოფიერი მომავალი წლის უზრუნველყოფა, ბოროტი ძალებისაგან ოჯახისა და მეურნეობის დაცვა და სხვ.

აჭარაში ახალი წლის შესახვედრად ადრიდანვე იჭერდნენ თადარიგს: ვალებს გაისტუმრებდნენ, თუ რამ განათხოვრებული ჰქონდათ, ყველაფერს უკან დაიბრუნებდნენ, რადგან სწამდათ, რომ ახალი წლის ღამე საოჯახო ნივთებმაც, ისევე, როგორც ადამიანებმა და საქონელ-ფრინველმა, საკუთარ ჭერქვეშ უნდა გაატარონ. საახალწლო სამზადისის დროს არავის არაფერს არც მოსთხოვდნენ და არც მისცემდნენ, რომ „ხელი არ გადაყოლოდა“ და ბარაქა ოჯახიდან არ გასულიყო. ახალი წლის დღესასწაულის შესახვედრად ოჯახის ყველა წევრი ფუძე-სახლში იყრიდა თავს, რადგან ახალი წელი, მართალია საყოველთაო, საზოგადო დღესასწაულია, მაგრამ, ამავე დროს, იგი ძირითადად ოჯახური ზეიმია.

ხალხის რწმენით წლის პირველი დღე განსაზღვრავდა მთელი წლის იღბლიანობა-უიღბლობას. ამიტომაც აჭარაში ცდილობდნენ ახალი წლის დილით განსაკუთრებით მარჯვედ ყოფილიყვნენ, ხელი არაფერში მოსცარვოდათ, ახალ წელს მაძღრისად შეხვედროდნენ. ამ მიზნით ახალი წლის წინა ღამით ბალიშის ქვეშ მჭადის ლუკმას ამოიდებდნენ. ოჯახის თითოეული წევრი ცდილობდა გათენებამდე გამოეღვიძა და შენახული მჭადის ლუკმა მამლის ყივილამდე ან ჩიტის პირველ დაძახილამდე შეეჭამა, რათა ფრინველისაგან „დაძლეული“, დამარცხებული არ დარჩენილიყო და მომავალი წელი მისთვის უიღბლო არ გამომდგარიყო.

გარდა ამისა, ამ დღეს ასრულებდნენ გარკვეულ წეს-ჩვეულებებს, რომელთა დანიშნულებაც მომავალი სამეურნეო საქმიანობის იღბლიანობის უზრუნველყოფა იყო. პირველი დღის მაგიის რწმენა კარგად ჩანს მეკვლეობის ინტიტუტში. გადმოცემით, სახლი უნდა ეფერხვა „კაი ფეხის“ ადამიანს. იგი დილით ადრე უნდა მისულიყო სახლში. მეკვლეს ანუ მფერხავს ხელში ტკბილეული ეჭირა. იგი კარზე დააკაკუნებდა. ოჯახის უფროსი მეკვლეს გამოეპასუხებოდა. მათ შორის იმართებოდა დალოგი, რომლის დროსაც მეკვლე ოჯახს ხვავს, ბარაქას, სითბოს, სიტკბოს, სიხარულსა და ბედნიერებას დაუბედებდა და ოთახში შევიდოდა. შემოსასვლელში იდგა პატარა სკამი (ჯორკო), რომელზეც იდო ბრინჯიანი თასი. მფერხავი აიღებდა თასს, დაჯდებოდა ჯორკოზე და სამჯერ წაინაცვლებდა წინ, ოჯახის საქმე წინ წავიდესო. მერე ბრინჯს და კანფეტს მოაყრიდა ოთახებში. შემდეგ მეკვლე კერაში ნაკვერცხალს გაჩხრეკდა, ნაპერწკლებს ააყრევინებდა და დაილოცებოდა: „რამდენი ნაპერწკალიც ავარდა, იმდენი სიმინდი, იმდენი ოქრო-ვერცხლი, იმდენი საქონელ-ფრინველი, ხვავი და ბარაქაო“. ამ დღეს არ შეიძლებოდა ოთახის დაგვა, ხვავი და ბარაქა ოჯახიდან რომ არ გასულიყო. მფერხავს დიდი პატივით ექცეოდნენ. მთელი დღის განმავლობაში არ შეიძლებოდა მისი სახლიდან სხვაგან წასვლა.

ძველად აჭარაში გავრცელებული იყო კარდაკარ ჩამოვლისა და მილოცვის ჩვეულება. მომლოცველები ახალი წლის საღამოს ჯგუფებად იწყებენ კარდაკარ ჩამოვლას. დადიოდნენ თითქმის გათენებამდე, გალობით ულოცავდნენ ოჯახებს ახალი წლის მოსვლას. მასპინძლები მომლოცველებს ასაჩუქრებდნენ ფულით, ტკბილეულით, ხილით. სულ ბოლოს კარდაკარ ჩამოვლის მონაწილეები თავიანთ ოჯახებს ულოცავდნენ და მიუმღერებდნენ. დილიდან იწყებოდა ერთმანეთთან გადასტუმრება.

საახალწლო წეს-ჩვეულებათა უმეტესი ნაწილი აჭარაში ნაყოფიერების მაგიას უკავშირდებოდა და მოსავლიანობისა და საქონელ-ფრინველის სიმრავლის უზრუნველყოფისათვის იყო განკუთვნილი. ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის გამომწვევი ძალების გაძლიერებას ემსახურებოდა აჭარაში ფრაგმენტების სახით შემორჩენილი აგრარულ-რელიგიური ხასიათის დღესასწაული „ბოსლობა“ და „ცხემლის ჭრის“ რიტუალი, რომელთა დანიშნულებაც ბუნების ძალთა აღორძინება და ნაყოფიერების უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო.

ნაყოფიერების მაგიასთან საახალწლო რიტუალების კავშირი კარგად ჩანს საახალწლო კერძებშიც. ტრადიციულად, აჭარაში ახალ წელს სავსე სუფრით ხვდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მოხარშულ სიმინდს. სიმინდს გარკვეულ ხანს წყალში გააჩერებდნენ, შემდეგ მოხარშავდნენ და მარილთან ერთად მიირთმევდნენ ან ამზადებდნენ სირსვალს — ნივრით და ნიგვზით შეკაზმულ, მოხარშული, კანგაცლილი სიმინდის შეჭამანდს. სწამდათ, რომ, როგორც „კარდალში გასივდება და აივსება სიმინდი, ისე აივსება ნათესი და კაი მოსავალი იქნებაო“. სირსვალის ჭამა აუცილებელი იყო ოჯახის წევრებისათვის, მაგრამ სხვას, უცხოს მას არ აჭმევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ „ოჯახიდან ბარაქა წავიდოდა“. საერთოდ, აჭარაში საახალწლო რიტუალებში ნაყოფიერების სიმბოლოს დატვირთვა ქონდა მარცვლეულს (ბრინჯი, ხორბალი, ღომის მარცვალი და სხვ.). მაგალითად, ახალ წელს ბოსლობის რიტუალის შესრულებისას, ოჯახის უფროსი მამაკაცი საქონელს ირგვლივ შემოუვლიდა და მარცვალს მიმოფანტავდა. ან კიდევ, საქონელს მარცვალს აჭმევდა, ახორში ბრინჯს, სიმინდს, ხაპის გულს მოაპნევდა — „ბერექეთი იყოსო!“ ახალი წლის ღამეს დიასახლისი მარცვლეულს აპნევდა როგორც ოთახის კუთხეებში, ასევე საახალწლო სუფრაზეც. ამ სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხარშული კვახი. ხშირად კვახს ტაბლაზევე დაჩეხავდნენ, რომ მისი თესლი სუფრაზე დაყრილიყო. ეს სიუხვისა და ბარაქის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად ითვლებოდა.

აჭარაში საახალწლო რიტუალებში განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა წყალს. ახალი წლის დილას დიასახლისი ადრე ადგებოდა, გააღვივებდა ცეცხლს და ხმისამოუღებლად მოიტანდა წყალს, რომელსაც კერის პირას ან ოთახის კუთხეებში მოაპკურებდა, თან დაილოცებოდა: „ამ წყალივით წინ წავიდეს ოჯახის საქმეო“. წყლის მაგიური ძალის რწმენა კარგად ჩანს აჭარაში ახალი წლის დილას „საქონლის წყალზე გაყვანის“ ჩვეულებაში, რაც ზემო აჭარაში დღესაც სრულდება.

ახალი წლის დღეებში ყველა ერიდებოდა უსიამოვნებას, ჩხუბს, აყალმაყალს, ბილწსიტყვაობას. ერთმანეთს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდნენ, ერიდებოდნენ ბავშვების დატუქსვასაც კი, რათა მთელი წელი ოჯახში ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების მშვიდობიანი ატმოსფერო ყოფილიყო. ასე, სხვადასხვაგვარი სიმბოლოების, რიტუალური ელემენტებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ცდილობდნენ აჭარაში უზრუნველეყოთ მომავალი წლის იღბლიანობა ოჯახისათვის.

დარეჯან ნოღაიდელი

სამუშაო ვიზიტი პოტსდამის უნივერსიტეტში

პოტსდამის უნივერსიტეტს ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი მარინა ქორიძე, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, პედაგოგიკის დოქტორი მადონა მიქელაძე და ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი ნელი ახვლედიანი ეწვივნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას. ქართველმა და გერმანელმა კოლეგებმა შეხვედრებზე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს, როგორიცაა: პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ამოქმედება, კვლევების წარმოება განათლების მიმართულებით, პედაგოგიური პრაქტიკა ქართველი და გერმანელი პროფესორების თანახელმძღვანელობით, განათლების მიმართულების პროგრამების ექსპერტიზა და ენების ცენტრის შექმნა. პოტსდამის უნივერსიტეტის დელეგაცია ბათუმს საპასუხო ვიზიტით 2013 წელს ეწვევა.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრები:

- ბრანდენბურგის ფედერალური მინის განათლების მინისტრი, პროფესორი საბინე კუნსტი;
- გერმანიაში საქართველოს ელჩი გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი;
- რექტორის მოადგილე, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი რია დე ბლეზერი;
- განათლების მეცნიერებათა პროფილის ხელმძღვანელი, პროფესორი ვოლფგანგ ლაუთერბახი;
- ენების ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორი დორის გებერტი;
- ლანდტაგის განათლების, კვლევისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე იენს ლიპსდორფი
- ბრანდენბურგ საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე პავლე შპეტიშვილი;

ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები მიწვეული იყვნენ ასევე როსტოკის უნივერსიტეტსა და ბრანდენბურგის ფედერალური მინის პარლამენტის მეცნიერების, კვლევისა და კულტურის კომისიის სხდომაზე.

ვულოცავ დამდეგ შობა–ახალ წელს ჩვენი უნივერსიტეტის თითოეულ წევრს, მათ, ვისთვისაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძვირფასი და უპირველესია. ვულოცავ როგორც რექტორატს, ადმინისტრაციას, ასევე უნივერსიტეტის მთავარ მამოძრავებელ ძალას – პროფესორ–მასწავლებლებსა და ჩვენს ძვირფას სტუდენტ–ახალგაზრდობას, რომლებზეც ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული უნივერსიტეტის წინსვლისათვის. თითოეულ მათგანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებსა და სასიამოვნო სიახლეებს. დაე, ახალი 2013 წელი ყოველმხრივ გამორჩეული ყოფილიყოს ჩვენი უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელთათვის.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ემზარ მაკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გულითადად ვულოცავ ახალი 2013 წლის მობრძანებას, შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ახალ წელს ყველა, განურჩევლად ასაკისა, სიხარულით, უკეთესი მომავლის იმედებითა და რწმენით ვეგებებით და ღმერთმა ინებოს მათი გამართლება! ვისურვებდი ყველა ოჯახში შესულიყოს სიმშვიდე და კეთილდღეობა, ხვავი და ბარაქა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. წინსვლა და წარმატებები არ მოშლოდეს ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს და სრულიად საქართველოს.

ირაკლი ბარამიძე,
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

სულ რამდენიმე დღეში ახალი 2013 წელი ზეიმით ესტუმრება ჩვენს ოჯახებს. მინდა მოგილოცოთ ყველას შობა-ახალი წელი. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას, სიხარულს, დიდ წარმატებებს თქვენს პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მინდა ჩვენი ქვეყნის ამ ურთულეს პერიოდში გისურვოთ გვეცხოვროს მშვიდობიან, გამთლიანებულ, წარმატებულ, ყველასათვის სამაგალითო და მდიდარ საქართველოში. ვყოფილიყავით პატარა, მაგრამ ცნობილი საქართველოს ღირსეული შვილები.

შევხვდეთ ახალ წელს ღიმილით და სულიერი სიმშვიდით!

პატივისცემით,

ნერიმან ცინცაძე

მიხარია, რომ ჩემი სტუდენტები წარმატებული ადამიანები არიან

ქალბატონი ნათია წიკლაშვილი რექტორის მოადგილე გახლავთ სამეცნიერო მუშაობის დარგში. იგი 2012 წელს უნივერსიტეტის ცხოვრებაში დადებითად აფასებს. ამბობს, რომ უნივერსიტეტის წინსვლისთვის ბევრი რეალური ნაბიჯი გადაიდგა, წარმატებების პარალელურად სამომავლოდ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერებაზეც საუბრობს და ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა როლზეც მიუთითებს.

ქალბატონი ნათია უკვე 20 წელია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს. ამბობს, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე სახლიდან უნივერსიტეტში მიუხარია და პირიქით... ახარებს თითოეული სტუდენტის წარმატება.

ქალბატონი ნათია საახალწლო ტრადიციებზეც გვესაუბრება. ათეული წლებია, რაც ახალ წელს კახეთში ხვდება.

— ქალბატონო ნათია, თქვენ ბრძანდებით რსუ-ს რექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში. გთხოვთ, გვესაუბროთ ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ...

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი აღიარებული უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი ჰყავს დიდი სამეცნიერო პოტენციალით. გასულ წელს ჩვენი პროფესორების და მეცნიერების მიერ გამოიცა ათობით სახელმძღვანელო, დამხმარე-მეთოდური მასალა თუ მონოგრაფია; ასევე მოიპოვეს შოთა რუსთაველის ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების გრანტები, უნივერსიტეტის სამმა თანამშრომელმა პრეზიდენტის ახალგაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი გრანტიც მიიღო.

მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური კონფერენციების გამართვის სასურველ ცენტრად იქცა. გასულ წელს ჩვენთან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული ღონისძიება გაიმართა. NATO-ს ეგიდით, შავი ზღვის ღრმა ფენების გოგირდწყალბადის ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგეტიკული ათვისების თემაზე სამეცნიერო ვორქშოფი ჩატარდა, რომელშიც ქართველი, ამერიკელი, ინგლისელი, უკრაინელი, სერბი, თურქი, ერაყელი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები მონაწილეობდნენ. ვუმასპინძლეთ ქართველოლოგიის, ქართულ-ჩერქეზულ, DAAD-ის, იულიხის სამეცნიერო ცენტრისსაზაფხულო სკოლა-სემინარებს, სადაც არა მხოლოდ გამოცდილების გაზიარება, არამედ, სამომავლოდ პრაქტიკული თანამშრომლობის რეალური ნაბიჯებიც გადაიდგა.

შეხვედრები ჩატარდა საქპატენტთან, ინტელექტუალური საკუთრების

დაცვის მსოფლიო და ევროპულ ორგანიზაციებთან. ჩვენს უნივერსიტეტში გაიხსნება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კუთხე, საიდანაც უნივერსიტეტი ჩართული იქნება საერთაშორისო საძიებო სისტემაში და გვექნება წვდომა რესურსებზე. უკვე გვყავს ამ ორგანიზაციის სერთიფიცირებული წარმომადგენელიც — ლ. მელოიანი-ფუტკარაძე, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი კომისიის წინაშე.

ჩვენი მეცნიერების მიღწევების კომერციალიზაციისთვის ხელის შეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი. სხვა სტრუქტურებთან ერთად გახდა საქართველოს ინოვაციების გადაცემის ცენტრის დამფუძნებელი. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი არა მხოლოდ მასპინძლობდა სხვადასხვა ღონისძიებებს, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებსა და შეხვედრებში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

შთამბეჭდავი წარმატებები კი გვქონდა, მაგრამ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილისა, ვფიქრობთ, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უნდა გავაძლიერთ, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა გააქტიურების გზით და სრულად უნდა გამოვიყენოთ ის მდიდარი პოტენციალი, რაც ჩვენს უნივერსიტეტს ამ კუთხით გააჩნია. დაგეგმილი გვაქვს არაერთი საინტერესო რესპუბლიკური და საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს თანამშრომელთა ინტეგრაციას საერთო ევროპულ სამეცნიერო სივრცეში. აუცილებელია, რომ მუდმივად ჩვენი სამეცნიერო თვალსაწიერი, რადგან ეს პროცესი უმალ დადებითად აისახება სწავლისა და სწავლების ხარისხზე.

— ბუნებრივია, სამსახური ბევრ შრომას მოითხოვს. რამდენად უთავსებთ ერთმანეთს ოჯახს და თანმდებობას?

— განათლების მიღება, შვილების დაბადება და აღზრდა, ოჯახი... ქალის მოღვაწეობისა და თვითრეალიზაციის სფეროს სია ოდითგანვე იზრდებოდა და იზრდება, თანაც თავად ქალების ძალისხმევით... საკუთარი თავის პოვნა და ისეთ ახალ სამოღვაწეო ასპარეზზე სრულყოფა და წარმატება, ადრე რომ მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო ხელმისაწვდომი, დაუფარავ სიამოვნებას და სიამაყეს ანიჭებს ქალს. მყარი და ხანდახან ერთ-ერთი პირველი ადგილი თანამედროვე ქალის ცხოვრებაში კარიერას უჭირავს. ... და მაინც, შეიძლება დიდ წარმატებას მიაღწიოს ქალმა და კარიერული კიბის მაღალ საფეხურებზეც აღმოჩნდეს, მაგრამ მიღწეული წარმატება უცებ უფერულდება თუ იგრძნობს, რომ მის გვერდით არ დგას ოჯახი...

სამსახურიდან მისულს, დაღლილობა უნდა დაგავიწყოს ოჯახმა, ახალი ენერგიით აგავსოს და დაგმუხტოს, შეუძლებელი შეგაძლებინოს. რთულია ქალის მისია ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში - უფალი სიცოცხლესთან ერთად გვაკისრებს დიდ ვალდებულებას, რომ ვიყოთ კარგი შვილი, ღირსეული მეუღლე, ყურადღებიანი დედა... ხოდა, მეც ვცდილობ სითბო და მზრუნველობა არ მოვაკლო ოჯახს, ალბათ, ყოველთვის ვერც ვახერხებ ამას, მაგრამ ოჯახის წევრები მზოგავენ და არ იმჩნევენ გასაუთოვებელ შარვალს, დამწვარ სადილს და ან საერთოდ უსადილობას... აქვე გეტყვით, უფალს მადლობას ვწირავ, რომ მყავს მეუღლე, შვილები, რძალი, რომლებიც მეხმარებიან, გმირულად იტანენ ჩემს ქრონიკულ მოუცლელობას და მაძლევენ საშუალებას ჩემი საყვარელი საქმე ვაკეთო. მათ ტოლს არ უდებს ჩემი ოჯახის ყველაზე „უფროსი“ წევრი ნათათო (1წლის და 3 თვის), რომელიც შეუცვლელი დოპინგის როლს თამაშობს ჩემთვის...

სამსახურიდან სახლში უნდა მიგიხაროდეს და სახლიდან სამსახურში... და 20 წელია მიხარია უნივერსიტეტში, ჩვენს ცოდნის ტაძარში მოსვლა, ჩემს მეგობრებთან, კოლეგებთან და განსაკუთრებით კი სტუდენტებთან შეხვედრა. 20 წელია ვღელავ ლექციის დაწყებისას და მიხარია, როდესაც მათ თვალებში ვკითხულობ, რომ განხილული თემა გასაგებია, მიხარია, როდესაც უამრავი შეკითხვა ებადებათ და ერთად ვეძებთ პასუხებს ... მიხარია, რომ ჩემი სტუდენტები წარმატებული ადამიანები არიან და იოტისოდენა წვლილი მეც მიმიძღვის მათ წარმატებებში...

— სად და როგორ ხვდება ნათია წიკლაშვილი ახალ წელს? ოჯახში საახალწლოდ განსაკუთრებული ტრადიციები ხომ არ გაქვთ?

— გამოგიტყდებით, ძალიან მიყვარს ახალი წელი. დრო გადის, ტრადიციები იცვლება და ახალ ჩვეულებებს ეყრება საფუძველი. მაგრამ ამის მიუხედავად, არ იცვლება ყველაზე მთავარი — ახალი წელი სიახლის, იმედისა და სიხარულის მომტანია. მთავარია მას ღიმილით შევეგებოთ, რადგან ერთი ტრადიცია ნამდვილად უცვლელია და ყველა ადამიანს აერთიანებს — ესაა რწმენა იმისა, რომ ახალი წელიწადი ყველაზე სანუკვარი სურვილების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

ახალ წელს მამასთან ვხვდებით ხოლმე. ეს ჩემი ოჯახის ტრადიციაა უკვე ათეული წლებია... ულამაზეს, ირმების გადასახედ კახეთში - სიღნაღში ვიკრიბებით ყველა ერთად, დედის გარდაცვალების შემდეგ მე მიწევს გოზინაყის გაკეთება, იშლება მამა-პაპური, ხვავრიელი კახური სუფრა და იქიდან ვამბობთ უფლის და ჩვენი ქვეყნის სადიდებელს, ვაცილებთ ძველს და ვლოცავთ დამდეგ ახალ წელს...

— როგორ მიულოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს, ადმინისტრაციას და სტუდენტებს?

— მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით მშობლიურ ბათუმს, შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი, გისურვოთ ჯანის სიმრთელე, სიკეთე, სანუკვარი ოცნებების ახდენა, წარმატებები ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! უფლის წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!!!

იწურება 2012, კარს მოგვადგა ახალი — 2013 წელი. დადგა ჟამი თვალი გავადევნოთ მიმავალს, დავგეგმოთ ახალი და განვაგრძოთ გზა წინ. რით იყო საინტერესო 2012 წელი? პირველი იმით, რომ წელი იყო და თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭირა ჟამთასვლაში ზოგადად და ჩვენს ბიოგრაფიაში, კერძოდ. მეორეცაა და ამ წელს ფუჭად არ ჩაუვლია არც ჩვენი ქვეყნის, არც ჩვენი კუთხისა და ქალაქის, არც ჩვენი უნივერსიტეტის, არც თითოეული ჩვენგანისათვის: უნივერსიტეტმა აკრედიტაცია გაიარა და ჩააბარა „სახელმწიფო გამოცდა“ (ეს დიდი წარმატებაა), მაგრამ უფრო მეტი საქმე წინაა; პროფესურამ 2012 წელს გასაკეთებელი გააკეთა სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე, მაგრამ არც ესაა საკმარისი, მეტია საჭირო; სტუდენტობამ — კიდევ ერთი სტუდენტური წელი განვლო სტუდენტური ყოველდღიურობით, სწავლითა და უსაქმურობით, მომავალში სწავლამ უნდა სძლიოს ზარმაცობას... ჩვენ ხომ კარგი სტუდენტი, კარგი პროფესორი, კარგი უნივერსიტეტი გვსურს, უფრო უკეთესი, ვიდრე გვყავს და გვაქვს. სხვაგვარად უნივერსიტეტიც ხომ ვერ შედგება, იგი ხომ სტუდენტისა და პროფესორის ერთობაა...

ხვალის იმედით დავემშვიდობოთ 2012-ს, მადლობა ვუთხრათ ძველ წელს და იმედით შევხვდეთ ახალს.

სტუდენტებს, პროფესორებს, ადმინისტრაციას, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს გილოცავთ შობა-ახალ წელს. ახალი წარმატებები და გამარჯვება მოეტანოს 2013-ს თქვენს ბიოგრაფიაში და, შესაბამისად, უნივერსიტეტის ისტორიაში.

პროფესორი მამია ფაღავა

გილოცავთ ყველას! ახალ წელს ყოველთვის უკეთესის მოლოდინითა და იმედებით ვხვდებით. ღმერთმა ყველა კეთილი სურვილი შეგვისრულოს! არ არსებობს წელი, რომ არ ჰქონდეს კარგიც და ცუდიც, პირველ რიგში ვისურვებდი უფრო მეტი კარგი ყოფილიყოს. რაც მთავარია, ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობიანი და ბედნიერების მომტანი, განსაცდელში კი გამძლეობა გვქონოდეს! ქართველ ხალხს ვუსურვებ სიკეთეს, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, გამრავლებას, განათლებას, შრომისმოყვარეობას, გამთლიანებას, სიყვარულს, ცხოვრების ხალისსა და შემართებას! გილოცავთ!!!

ჩემთვის საუკეთესო საახალწლო დალოცვა სახარებისეული ქრისტეშობის ლოცვაა, რომელიც ამ დღეებს ძალიან უხდება: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება! ამინ!“

მარინა გიორგაძე,
პროფესორი,
ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

გილოცავთ!



რთულია მოიძებნოს სიტყვები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბატონი გურამის პიროვნების დახასიათება. ბატონი გურამი ის ადამიანი გახლავთ, ვისთვისაც უმთავრესი ბედნიერება საკუთარი პროფესიაა. იგი მთლიანად იხარჯება პროფესიულ საქმიანობაში. გარემოთა ცვალებადობის მიუხედავად, ბატონ გურამს არასოდეს უღალატია საკუთარი მრწამსისთვის. იგი მოვლენებს აფასებს მხოლოდ პროფესიული ცოდნისა და პიროვნული სიმაღლიდან. ის ჭეშმარიტი მეცნიერი და პიროვნებაა, რომელიც თავისებური ზნეობრივი არბიტრის ფუნქციას ასრულებს უნივერსიტეტში.

ბატონო გურამ! გილოცავთ დაბადების დღეს. პირველ რიგში გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შემოქმედებით წარმატებებს. ღმერთმა დაგლოცოთ და დიდხანს გამყოფოთ თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

დიდი სიყვარულით თქვენი ფსიქოლოგი კოლეგები

ბატონო გურამ! გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარით მრავალს, არ მოგკლებოდეთ თქვენთვის დამახასიათებელი ენერგიულობა, რათა უფრო მეტი და წარმატებული ფსიქოლოგი აღზარდოთ.

ფსიქოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტები

ადამიანები წარმოთქვამენ ძალიან ბევრ მშვენიერ სიტყვას, ავითარებენ გენიალურ აზრებს, მაგრამ ხშირად საოცრად ვრცელი და მძიმე ოქტავებია სიტყვებსა და საქმეებს შორის, მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ იყვნენ პიროვნულად იმდენად ღრმა და დიადი,როგორც მათი სიტყვებია... ჩვენთვის კი,ბატონო გურამ, თქვენ ეს შეძელით... შეძელით არა მარტო საკუთარი თავის სრულყოფა, არამედ ჩვენშიც,მომავალ თაობაშიც გამოაცოცხლეთ სიკეთის საწყისები!

ყოველთვის როცა გისმენთ, ვურთიერთობთ თქვენთან, გვეჩვენება, რომ იმაზე უკეთესი ვხდებით, ვიდრე ვიყავით, უფრო მეტი ვიცით, ვიდრე ვიცოდით და ეს განცდა ბადებს ჩვენში უდიდეს ბედნიერებას, რომ თქვენ არსებობთ, რომ ქმნით, გვავსებთ და გვავითარებთ... თქვენ ჩვენ გვიბოძეთ წესრიგის, პატივისცემის, მოკრძალების განცდა და სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის რწმენა!

ბატონო გურამ! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ, ხალასით სავსე უამრავ წელს და უფალს შევთხოვთ, რომ კიდევ უამრავ თაობას ერგოს თქვენი გაცნობის ბედნიერება!

ფსიქოლოგიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტები

სრულიად საქართველოს, მთელ ჩვენს კოლექტივს და სტუდენტებს გილოცავთ დამდეგ 2013 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. დაე, გვეცხოვროს ერთიან, მთლიან და გაბრწყინებულ საქართველოში.

ლამზირა გორგილაძე,
აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

ურთიერთობის ხელოვნება

წინა საახალწლო დღეებია. ახალი წელი ასოცირდება საახლწლო საჩუქრებთან, ახლო ურთიერთობებთან, რომელიც გვანიჭებს სიხარულს და ბედნიერებას. ფსიქოლოგების აზრით, ძვირფასი საჩუქარი ჰარმონიული ურთიერთობაა, რომლის შეძენასაც არ სჭირდება ფინანსური დანახარჯები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თავისი მნიშვნელობით აღემატება ძვირადღირებულ საჩუქარს.

ადამიანი სოციალური არსებაა და მისი ცხოვრება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია. ურთიერთობის მოთხოვნილება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას, რომელიც თავს იჩენს ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკიდან. საზოგადოებისგან იზოლირება ადამიანისთვის წარმოადგენს უდიდეს სასჯელს. იყო პერიოდი, როდესაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ადამიანს ზოგჯერ სიკვდილით არ სჯიდნენ და ტოვებდნენ დაუსახლებელ კუნძულზე. ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია კომუნიკაცია.

კომუნიკაცია - ესაა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შექმნა და გადაცემა არაფორმალური საუბრის, ჯგუფური ურთიერთმოქმედების და საჯარო გამოსვლისას. კომუნიკაციის პროცესი ხორციელდება ცნობის გაგზავნისა და მიღების საშუალებით. ინფორმაციის გაცვლა ხდება როგორც შინაარსობრივ, ასევე, ემოციურ დონეებზე, ხოლო ამ ინფორმაციის გადაცემის საშუალებებია სიტყვები, გამონათქვამები ანუ ვერბალური კომუნიკაცია (ზეპირი და წერილობითი) და სხეულის ენა - არავერბალური კომუნიკაცია (ჟესტები, მიმიკა, ვიზუალური კონტაქტი).

კომუნიკაცია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და გვჭირდება იმისათვის, რომ გავიზიაროთ სხვა ადამიანების იდეები და მოსაზრებები, მივიღოთ სხვა ადამიანისგან ინფორმაცია, გვქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და უკუკავშირი.

კომუნიკაციის პროცესს განეკუთვნება როგორც ინფორმაციის გადაცემა, ანუ „გამონათქვამი“, ასევე, ინფორმაციის მიღება - „შთაბეჭდილება“. კომუნიკაციის პროცესი მიმდინარეობს ორ დონეზე: შინაარსისა და დამოკიდებულებების დონეზე, ამასთან, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს პირველს. როდესაც ვესაუბრებით ერთმანეთს, შინაარსის გაცვლა ხდება ცნობების დონეზე. რაც შეეხება ჩვენს გრძნობებს, რომლებიც წარმოადგენს კომუნიკაციის პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილს, მათი გადაცემა ხდება დამოკიდებულების დონეზე. პარტნიორის მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი სიგნალები შეიძლება იყოს: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. თუ შეატყობთ, რომ თქვენსა და თქვენს პარტნიორს შორის დამოკიდებულების დონე დარღვეულია (ნეგატიურია), ნუ ეცდებით შინაარსის გადაცემას, ჯერ აღადგინეთ დამოკიდებულების დონე. ამასთან, ეცადეთ, რომ იყოთ მშვიდი და გაწონასწორებული. შინაარსის დონეზე ურთიერთობის გაგრძელებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც დამოკიდებულება არაა დარღვეული. სამწუხაროდ, ადამიანებს შორის ურთიერთობები ყოველთვის როდი წარმოადგენს სიამოვნებისა და სიხარულის წყაროს. ხშირად ეს ურთიერთობები ხდება პრობლემების, უსიამოვნებების, კონფლიქტების მიზეზი. ეს, როგორც წესი, უკავშირდება ადამიანებს შორის საერთო ენის გამონახვის სირთულეებს.

ფსიქოლოგები და ექსპერტები ურთიერთობაში წამოჭრილ პრობლემებს და სირთულეებს ხშირ შემთხვევაში უკავშირებენ მანიპულაციურ ქცევას. მანიპულაციაში ჩვეულებრივ, იგულისხმება პარტნიორზე ფარული (ქვეცნობიერი) ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომლის მიზანია მანიპულატორისთვის სასურველი შედეგის მიღება. ესაა ქმედება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, შეასრულებინოს ადამიანს მისი ინტერესების საწინააღმდეგო ისეთი ქცევა, რომელიც სასურველია მანიპულატორისთვის. ფსიქოლოგიური მანიპულაციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს პარტნიორის მიმართ დამოკიდებულება, კერძოდ, მანიპულატორი მას უყურებს არა როგორც პიროვნებას, არამედ როგორც საშუალებას, რომლის გამოყენებითაც აღწევს მისთვის სასურველ შედეგს. მანიპულატორი, ჩვეულებრივ, კარგად იცნობს ადამიანის ფსიქიკას და იცის, როგორ მოახდინოს მასზე ზემოქმედება. ერთ-ერთი მკვლევრის აზრით, ადამიანის ფსიქიკისა და მისი სიღრმისეული მექანიზმების კარგი ცოდნა ყოველთვის სულაც არ გამოიყენება ადამიანის საკეთილდღეოდ და ხშირად პირიქით ხდება. მანიპულაცია გულისხმობს ორი მხარის გამოყოფას: ერთი მხარე ესაა - მანიპულაციის ინიციატორი და განმხორციელებელი, რომელსაც უწოდებენ მანიპულატორს. მეორე მხარეს, რომელიც წარმოადგენს მანიპულატორის ობიექტს, უწოდებენ მანიპულაციის ადრესატს. მანიპულაციის პროცესი შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ მანიპულატორის მიერ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა იგი გამოდის, როგორც მანიპულაციის ორგანიზატორი და ინიციატორი, რომლის დროსაც თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს სხვა პირებს. მანიპულაციური ზემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია მისი ფარული ხასიათი, რომელიც ნიღბავს მანიპულატორის ჭეშმარიტ განზრახვას. ამიტომაც ხშირად ხდება ისე, რომ მანიპულატორის განზრახვა გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველია, ის სრულიად უდანაშაულო გამოდის(ან ცდილობს გამოვიდეს) სიტუაციიდან და გარეგნულად ჩანს მხოლოდ ადრესატის ქცევა, რომელიც ერთი შეხედვით არაადეკვატურია. მანიპულატორები ზემოქმედებენ ადამიანის ისეთ მახასიათებლებზე, რომელსაც აუცილებლად მოყვება საპასუხო რეაქცია, როგორიცაა: პიროვნების ღირსება, ემოციები, ურთიერთობის მოთხოვნილება, პრესტიჟი.

იმისათვის, რომ ადამიანმა თავი დაიცვას მანიპულაციური ზემოქმედებისგან და მოახდინოს მისი ნეიტრალიზება, საჭიროა თვითონ მანიპულაციური ზემოქმედების ფაქტის გამოვლენა, რამდენადაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული ადრესატისთვის ნეგატიური შედეგები და ეს წარმოადგენს მისი პიროვნებისთვის მთავარ საშიშროებას. არცერთ ჩვენთაგანს არ უნდა, რომ თანამოსაუბრემ მოატყუოს, თუმცა ხდება ისე, რომ ვგრძნობთ კიდეც თანამოსაუბრის არაგულწრფელობას და ხდება პირიქითაც. როგორ გამოვიცნოთ ვართ თუ არა ტყუილის ობიექტები? არსებობს გარკვეული მანიშნებლები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი თანამოსაუბრე ტყუის. ასეთია, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სიგნალები. მაგალითად: გუგების შევიწროვება, ხმის კანკალი, ხელების ფშვნეტა, ტუჩებისა და პირის გაშრობა. ტყუილზე მიუთითებს შემდეგი ფრაზები: „ჯანმრთელობას გეფიცები“..., „კისერს მოვიჭრი“...., „არ ვიცი რაზეა საუბარი“.... და ა.შ.

ტყუილის გამოცნობის ერთ-ერთი რეკომენდაცია მდგომარეობს შემდეგში: თუ თანამოსაუბრის სიტყვებსა და ჟესტებში შეამჩნევთ შეუსაბამობას, უფრო ენდეთ საკუთარ მზერას და არა სმენას, ვინაიდან ჭეშმარიტებაზე ამ დროს მიუთითებს სწორედ ადამიანის უნებლიე ჟესტი და მოძრაობა და არა წარმოთქმული ფრაზა. სიმართლის დაფარვა ყველაზე ადვილია სიტყვით, მიმიკით, ხმით და უფრო ძნელია ჟესტებით, მოძრაობით, პოზით. ურთიერთობის ხელოვნება მოიცავს ტყუილის ნიშნების გამოვლენის ხერხების ცოდნას, რაც ეხმარება ადამიანს არ გახდეს მანიპულაციის და ტყუილის ობიექტი.

ადამიანს ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვა სახის ურთიერთობები აქვს. ურთიერთობის უნარ-ჩვევებით ადამიანები არ იბადებიან, საჭიროა მათი გამომუშავება. არსებობს ეფექტური კომუნიკაციის ხერხები, როგორიცაა: აქტიური მოსმენა, სხვისი სუბიექტური რეალობის გათვალისწინება, ემოციების გაზიარება და ა.შ.

ურთიერთობის ხელოვნება ადამიანს ეხმარება პიროვნებათაშორისი დამოკიდებულების მოწესრიგებაში, კონფლიქტების მოგვარებაში, წარმატების მიღწევაში და ზოგადად, ემოციურ კეთილდღეობაში. მართალი იყო ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ ეგზიუპერი, როცა წერდა: „ჭეშმარიტი ფუფუნება ადამიანური ურთიერთობაა“.

რამდენიმე დღეში კარს შემოგვიღებს ახალი, 20013 წელი. გვინდა ამ ახალ წელს გისურვოთ ურთიერთობების დალაგება (ვისაც დაულაგებელი აქვს), ახალი ურთიერთობების დაწყება, კონფლიქტების მოგვარება.

დაე, ეს წელი ყოფილიყოს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ლექტორ-მასწავლებლებისთვის და სრულიად საქართველოსთვის მხოლოდ დადებითი და ჰარმონიული ურთიერთობების მომტანი.

რუსუდან კეჭაყმაძე,
ქეთევან ბერიძე

დამდეგ 2013 წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს. ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩემს საყვარელ სტუდენტებს, ძვირფას და პატივცემულ კოლეგებს. თითოეულისათვის ეს წელი ყოფილიყოს ულევი სიხარულის, წარმატებული საქმიანობის, ჯანის სიმტკიცის, სიყვარულის, სიუხვის და ბედნიერების მომტანი.

ნარგიზ ალასანია,
აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

ძვირფასო სტუდენტებო, პროფესორ-მასწავლებლებო, უნივერსიტეტის თანამშრომლებო, ბატონო რექტორო პირადად თქვენ, სრულიად საქართველოს და ყველას გილოცავთ მშვიდობის, სამშობლოს გამთლიანების, აღმავლობის, წინსვლის, გაერთიანების, განათლების რეფორმის წარმატებით ჩატარების, ახალი იმედებით და განახლების მოლოდინით აღსავსე დღესასწაულს – შობა-ახალ წელს.

დღე სასწაული – ქრისტეს შობისა და ახალი წლის – ყოფილიყოს უფლის წყალობისა და მფარველობის, ჯანმრთელობის, წარმატებების და ბედნიერების მომტანი და მუდმივი მეგზური მთლიანად საქართველოსი, თითოეული ადამიანის, და პირადად თქვენთვის. სიკეთე და სითბო, ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. როგორც სულმნათი აკაკი ამბობს: „ნუ მოგიშალოს თბილი ჰაერი, ცივი ღვინო და ცხელი მწვადი“.

წელი სასწაული – ქრისტეს შობიდან 2013 – ყოფილიყოს უსაყვარლესი და დიდი ტრადიციების მქონე ჩვენი უნივერსიტეტისთვის სწავლის, სწავლების, მეცნიერული მიღწევების, საინტერესო და წარმატებული ურთიერთ თანამშრომლობის წელი.

ზოთა მახარაძე,
მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ახალ, 2013 წელს გილოცავთ!

წარმატებულ და იმედის მომცემ წელს გისურვებთ!

დღეს მნიშვნელოვანია – გონებაგახსნილი, მოქნილი, განვითარებაზე ორიენტირებული, შემოქმედი, რისკიანი, მოტივირებული, კომუნიკაბელური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადება. სწორი არჩევანის გაკეთების უნარი, საუკეთესოთა გამორჩევა და გამორჩეულთა სწორი მოტივირებაა საჭირო.

დღეს – სწორედ დღევანდელ დღეს ნიშნავს და არა ხვალინდელს. ხვალ უფრო რთული და დინამიური გარემო გელით. დრო აღარ ითმენს – მომავალი წარმატება ახლა და აქ იქმნება! და როგორი იქნება ის, თქვენზეა დამოკიდებული.

2013 წელი წარმატებული იქნება და ყოველი ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს ამ წარმატებაში.

როსტომ ბერიძე
ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

ბიოლოგია – ოცდამეერთე საუკუნის წარმატებული მეცნიერება

ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში დიდი ნილს ბორი ამბობდა, რომ ბიოლოგია მომავლის მეცნიერებაა. მაშინ მეცნიერების ეს დარგი ძირითადად აღწერილობით დისციპლინად ითვლებოდა, რომელსაც ბოტანიკისაგან დიდად არ განასხვავებდნენ. მაგრამ ბორი უკვე ხედავდა, ერთი „წინაპარი“ მეცნიერებიდან – ფილოსოფიიდან გამოყოფილი დარგები – ფიზიკა, ქიმია, კოსმოლოგია თუ საკუთრივ ფილოსოფია, როგორ იყრიდნენ თავს ისევ ერთი მეცნიერების – ბიოლოგიის ირგვლივ...

დღეისათვის ბიოლოგია ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთ წარმატებულ მეცნიერებად ითვლება. თუ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ატომის ბირთვის შეცნობის ეპოქა იყო, ხოლო მეორე ნახევარი – უჯრედის ბირთვის შეცნობისა, დღეს უკვე მეცნიერები გენებზე მანიპულირებენ. აქტიურად ვითარდება გენური ინჟინერია და მისი გამოყენებით შესაძლოა ისეთი გენეტიკური დაავადების განკურნებაც მოხერხდეს, რომლებიც აქამდე უკურნებლად იყო მიჩნეული.

ბიოლოგიის თანამედროვე წარმატებები ეფუძნება მოლეკულური ბიოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებას – ბიოტექნოლოგიას, რომლის განვითარებაში ახალი ეპოქა დაიწყო მემკვიდრეობითობის მოლეკულური მექანიზმების გარკვევით.

მარტივად თუ ვიტყვით, ბიოტექნოლოგია არის ადამიანის მიერ ცოცხალი ორგანიზმების გამოყენება მისთვის საინტერესო პროდუქტის მისაღებად, რისთვისაც იგი ხელმისაწვდომ სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას მიმართავს.

ასეთი საქმიანობით ადამიანი თავისი განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპებზეც იყო დაკავებული; ის იშინაურებდა გარეულ ცხოველებს და თავს სამოსითა და საკვებით უზრუნველყოფდა; ველურ მცენარეებს საცხოვრებელთან ახლოს რგავდა, უვლიდა და მოსავალს ღებულობდა.

XXI საუკუნეში ბიოტექნოლოგია განიმარტება, როგორც მეცნიერება, რომელიც იყენებს გენურ ინჟინერიასა და დნმ (დეზოქსირიბნულეინის მჟავა)–ტექნოლოგიებს მიკროორგანიზმების, მცენარეებისა და ცხოველების დნმ–ის მოდიფიცირებისთვის, რათა მათი ნიშან–თვისებები სასურველი მიმართულებით შეცვალოს კომერციული ინტერესების მქონე პროდუქციის საწარმოებლად.

თანამედროვე ბიოტექნოლოგია იყოფა სამედიცინო, ფარმაკოლოგიური, სასოფლო–სამეურნეო და ინდუსტრიულ ბიოტექნოლოგიებად.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძველი გენური ინჟინერიაა. ის ნიშნავს ერთი ორგანიზმის გენის ჩაშენებას მეორე ორგანიზმის დნმ–ს მოლეკულაში. ასეთ დნმ–ს რეკომბინაციულს უწოდებენ, ხოლო ორგანიზმს, რომელიც რეკომბინაციულ დნმ–ს შეიცავს – გენმოდიფიცირებულს. გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს მისთვის ადრე სრულიად უცხო, ახალი თვისება უჩნდება.

გენური ინჟინერია. გენურ ინჟინერიას



საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც დადგენილი იქნა, რომ ვირუსს შეუძლია ნაწლავის ჩხირის (Escherichia coli) უჯრედში, ჩაანაცვლოს ბაქტერიის დნმ თავისი დნმ-ით. ამის შემდეგ ბაქტერია იძულებულია, გამოიმუშაოს ვირუსის ცილები. პოლ ბერგმა 1972 წელს გენური ინჟინერიის მეთოდით შეაერთა ორი ვირუსის (SV40 და ბაქტერიოფაგი λ) დნმ და მიიღო ჰიბრიდული მოლეკულა – პირველი რეკომბინანტული დნმ. ამისთვის 1980 წელს მან ორ სხვა მეცნიერთან ერთად ნობელის პრემია მიიღო.

გენური ინჟინერიის პირველ ეტაპზე ბაქტერიებიდან, მცენარეებიდან, ცხოველებიდან ან ადამიანის დნმ–დან სპეციალური ფერმენტებით – რესტრიქტაზებით სასურველ გენს ამოჭრიან. შემდეგ ბაქტერიიდან მცირე ზომის ციკლურ დნმ–ს – პლაზმიდს გამოყოფენ. იგივე რესტრიქტაზით ახლა მის გარკვეულ უბანს ჭრიან და მასში სასურველი გენი გადააქვთ. „მოლეკულურ წებოდ“, რომელიც ახალ გენს პლაზმიდში აფიქსირებს, სხვა სახის ფერმენტები – ლიგაზები გამოიყენება.

მიღებულ რეკომბინაციულ პლაზმიდს



ბაქტერიასთან ერთად ათავსებენ. ბაქტერია გამრავლებას იწყებს, მასთან ერთად პლაზმიდიც მრავლდება და ერთი გენიდან ათასობით მისი იდენტური გენი წარმოიქმნება.

ბაქტერიების მთავარ „მომუშავე მანქანად“ გამოყენების გზით მიღებულია ინსულინი, ადამიანის ზრდის ჰორმონი, ხარის სომატოტროპინი, ვაქცინები, სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი, ეპიდერმისის ზრდის ფაქტორი.

გენმოდიფიცირებული მცენარეები. მცენარეთა გენმოდიფიცირების მიზანია: შექმნან მცენარეები, რომლებსაც აქვთ (ექნებათ) მაღალი წინააღმდეგობის უნარი მავნებლების, პარაზიტების, გარემოს არახელსაყრელი პირობების (მაღალი ან დაბალი ტემპერატურა, წყლის დეფიციტი,



მწირი ნიადაგი და სხვა) მიმართ; ასევე გაზარდონ მათი პროდუქტიულობა და კვებითი ღირებულება.

გენმოდიფიცირებული მცენარეების მიღებას, ბაქტერიებთან შედარებით, მნიშვნელოვანი სირთულე ახლავს თან. საქმე ისაა, რომ მცენარე მილიარდობით უჯრედს შეიცავს და რეკომბინაციული დნმ ყველა მათგანში უნდა აღმოჩნდეს. ამიტომ, გენმოდიფირებულ მცენარეთა მისაღებად განსხვავებული ტექნოლოგია გამოიყენება. აქ მხოლოდ ერთადერთი ბაქტერიის – Agrobacterium-ის პლაზმიდას იყენებენ, რომელსაც მცენარეულ უჯრედებში შეღწევა შეუძლია, თანაც, მხოლოდ გარკვეულ მცენარეთა უჯრედებში. მცენარის ფესვის ან ღეროს წვეროდან იღებენ მერისტემული ქსოვილის თხელ ფენას (0,5 მმ) და Agrobacterium–ის რეკომბინაციულ პლაზმიდთან ერთად გარკვეული შედგენილობის სითხეში ათავსებენ. რამდენიმე ხნის შემდეგ უჯრედები გადააქვთ არეში, რომელიც მცენარის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ საკვებსა და ჰორმონებს შეიცავს. უჯრედები გამრავლებას იწყებენ და ქსოვილს წარმოქმნიან. ამ მეთოდს **ქსოვილური კულტურის** მიღების მეთოდი ჰქვია.

ქსოვილიდან მცირე ხანში მცენარის ორგანოები იწყებენ განვითარებას. ფესვის წარმოქმნისთანავე მცენარეები სათბურში გადააქვთ. ამ მეთოდით ერთი მცენარიდან განუსაზღვრელი რაოდენობის გენეტიკურად იდენტური გენმოდიფიცირებული მცენარეების მიღებაა შესაძლებელი.

მაგრამ აგრობაქტერიუმის პლაზმიდები ყველა სახეობის მცენარეში ვერ აღწევენ. ამიტომ აქ მეტად საინტერესო მეთოდი გამოიყენება, რომელიც „გენის თოფის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს თოფი პაწაწინა, თვალით უხილავ „ტყვიებს“ ისვრის. ტყვია გარედან სასურველი გენის შემცველი დნმ–ითაა დაფარული. ტყვიებს მცენარის ქსოვილის თხელ ფენებს ესვრიან, შემდეგ მას ჰორმონების შემცველ საკვებ ხსნარში ათავსებენ და მისგან გენმოდიფიცირებული მცენარეული ორგანიზმი ყალიბდება. ამ გზით არის მიღებული გენმოდიფიცირებული ვაშლი, სტაფილო, ზეთისხილი, თამბაქო... დღეისათვის მსოფლიოში 100–ზე მეტი სახის გენმოდიფიცირებული მცენარე არსებობს. ასეთებია:

გენმოდიფიცირებული „ოქროს ბრინჯი“, რომელსაც ასე ყვითელი შეფერილობის გამო უწოდეს და ბეტა–კაროტინს შეიცავს, რაც ზრდის – ვიტამინად გარდაიქმნება ორგანიზმში.

პომიდვრის ყინვაგამძლეობის გასაზ-

რდელად, მასში ერთ–ერთი არქტიკული თევზის გენი შეიყვანეს; გენმოდიფიცირებულ კარტოფილში ჩანერგილი გენი ისეთ ცილას გამოიმუშავებს, რომელიც კოლორადოს ხოჭოს სხეულში ტოქსიკურ ნივთიერებად გარდაიქმნება და ხოჭო მას აღარ ეკარება; ასევე მიღებულია მავნებლებისა და პარაზიტებისაგან წინააღმდეგობის უნარის მქონე ბამბა, სოიო, მარცვლეული და სხვა.



ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ისეთი გენმოდიფიცირებული მცენარეების შექმნაზე, რომლებიც აზოტფიქსატორ ბაქტერიებს „ნებას დართავენ“ დასახლდნენ მათ ფესვებზე. ბუნებრივად ეს ბაქტერიები მხოლოდ პარკოსნების – ლობიოს, სოიას, იონჯას ფესვებზე ბინადრობენ და ჰაერიდან აზოტის ფიქსაციას ახდენენ.

მცენარეთა გენმოდიფიცირებას გარკვეული სიძნელეებიც ახლავს. შემდგომში დადგინდა, რომ ვირუსი SV40 მაიმუნებში იწვევს სიმსივნეს, ამიტომ გაჩნდა საშიშროება, რომ რეკომბინანტული დნმ გამოიწვევდა სხვა სიმსივნეს. ბერგმა სხვა მეცნიერებთან ერთად გამოთქვა მოსაზრება, კაცობრიობისათვის მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე. პოლ ბერგის უშუალო მონაწილეობით გამოცხადდა ერთწლიანი მორატორიუმი ანალოგიურ გამოკვლევებზე. ერთი წლის შემდეგ კონფერენციაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერგი, განისაზღვრა ამგვარი კვლევების ჩატარების წესები და ნორმები, რომლებიც სამწუხაროდ ძალიან მალე იყო იგნორირებული.

გაურკვეველია, როგორ „მიიღებს“ მცენარეში ჩართულ უცხო გენს ის გარემო, რომელშიც ეს მცენარე იზრდება. ამიტომ, გენმოდიფიცირებულ მცენარეთა წარმოების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეტაპი, მისი გარემოში გამოცდაა.

ცხოველთა გენმოდიფიცირება. ცხოველთა გენმოდიფიცირება ორი ძირითადი მიმართულებით ხდება: პირველი მიმართულების მიზანია, გაზარდოს და გააუმჯობესოს ცხოველური პროდუქციის ხარისხი. მაგალითად, მიღებული იქნას ხშირმატყლიანი ცხვარი, ღორი, რომლის ხორცი ნაზი და ნაკლებცხიმიანი იქნება; ძროხა, რომელიც ბევრ და ცხიმიან რძეს

მოიწველის.

მეორე მიმართულების მიზანია, ისეთი ცხოველების შექმნა, რომლებიც სამკურნალო დანიშნულების მქონე ნივთიერებებს გამოიმუშავებენ. მაგალითად, ასეთმა ცხოველმა შეიძლება რძეში გამოყოს ადამიანის რომელიმე ფერმენტი ან ცილა, რომელსაც სამკურნალო დანიშნულება ექნება. ასეთ ცხოველებს ფარმაცევტული ქარხნებიც კი შეარქვეს.

გენმოდიფიცირებული ცხოველების მიღებას მცენარეებთან შედარებით კიდევ უფრო მეტი სირთულეები ახლავს. ცხოველურ სომატურ უჯრედებს, მცენარეული უჯრედებისაგან განსხვავებით, არ აქვთ უნარი, წარმოქმნან მთლიანი ორგანიზმი. ერთადერთი ცხოველური უჯრედი, რომლისგანაც განაყოფიერების შემდეგ მთლიანი ორგანიზმი ვითარდება, კვერცხუჯრედია. ამიტომ, გენმოდიფიცირებული ცხოველების მისაღებად სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიებით სარგებლობენ.

ერთ ერთი ასეთი ტექნოლოგიაა ახლადგანაყოფიერებულ კვერცხუჯრედში სასურველი გენის უშუალო ინექცია. ცხოველის კვერცხუჯრედს ხელოვნურად ანაყოფიერებენ, უწვრილესი ნემსიანი შპრიცით კვერცხუჯრედში სასურველი გენი შეაქვთ. უცხო გენის შემცველი კვერცხუჯრედი კი სუროგატი დედის საშვილოსნოში გადააქვთ. გარკვეული ხნის შემდეგ იბადება გენმოდიფიცირებული ცხოველი.

ცხოველთა კლონირება. ცხოველური პროდუქციის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოიყენება ერთ ერთი თანამედროვე ტექნოლოგია კვერცხუჯრედში სომატური უჯრედის მთლიანი ბირთვის გადატანა ანუ კლონირება.

1997 წელს მსოფლიო აალაპარაკა ექსპერიმენტმა, რომელიც კლონირებული ცხვრის მიღებით დასრულდა. მეცნიერებმა ერთი ცხვრის ბირთვამოცლილ კვერცხუჯრედში მეორე ცხვრის სარძევე ჯირკვლის ცურის უჯრედის ბირთვი შეიტანეს. სუსტი ელექტრული გაღიზიანებით კვერცხუჯრედი აიძულეს, დაყოფა დაეწყო. შემდეგ ის მესამე ცხვრის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადაიტანეს. ჩანასახმა იქ განვითარების ყველა ეტაპი გაიარა და სამყაროს მოევლინა პირველი კლონირებული ძუძუმწოვარი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ცხვარი უწოდეს, სახელად კი დოლი დაარქვეს.



ამ ექსპერიმენტიდან რამდენიმე წლის შემდეგ მეცნიერებმა შეძლეს სხვა ძუძუმწოვრების ძროხის, ღორის, თხის კლონის გამოყვანაც.

კლონირების პროცესს დიდი სიძნელეებიც ახლავს. ხშირია შემთხვევები, როცა ცხოველები სხვადასხვა დეფექტით იბადებიან. მათ უმრავლესობას დაბალი სიცოცხლისუნარიანობა გააჩნია.

დოლი თავიდან ნორმალურად ვითარდებოდა, მან ექვსი ბატკანიც კი გააჩინა. მაგრამ ხუთი წლის ასაკში ჯერ ართრიტი დაემართა, ბოლოს კი ფილტვის სიმსივნით დაავადდა. დოლიმ მხ-

ოლოდ ექვსი წელი იცოცხლა, ცხვრის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 12 წელია.

ცხოველთა კლონირებისა და გენმოდიფიცირების პრობლემები ამ პროცესში გენების არასწორ აქტივირებას უკავშირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შიშით უყურებენ ცხოველთა გენმოდიფიცირებას.

უსაფრთხოა თუ არა ადამიანისათვის გენურად მოდიფიცირებული პროდუქტები?

გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რომელთა შესახებაც ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არსებობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თვალსაზრისით კვლევების ისტორია ძალიან ხანმოკლეა. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისას არსებობს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ადამიანზე, ბუნებრივ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზეგავლენის პოტენციური რისკი (საშიშროება). აქედან გამომდინარე, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებისა და მათ შედეგად მიღებული ორგანიზმების გამოყენებისას ბიოუსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით მთელ რიგ ქვეყნებში და საერთაშორისო დონეზე შემუშავდა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეგულირების ჩარჩოების განსაზღვრა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დამყარებულიყო სათანადო ბალანსი პოტენციურად მნიშვნელოვან სარგებელსა და გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის გარანტირებულ უსაფრთხოებას შორის. ცხადი იყო, რომ ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და რეგულირების ეფექტური სისტემების შექმნა, განსაკუთრებით გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტექსტში, შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კოორდინირებული მიდგომის გარეშე.

2005 წლის ზაფხულში მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამი წლის კვლევის შედეგები, რომელიც გენმოდიფიცირებულ საკვებს ეხებოდა. კვლევაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს სასურსათო პროდუქტების ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამ დოკუმენტის დასკვნის მიხედვით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები გამოირჩევიან მაღალი პროდუქტიულობით, კვებითი ღირებულებითა და ხარისხით, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. აქვე ხაზგასმულია აგრეთვე გენმოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან მიღებული საკვები პროდუქტების უსაფთხოების მკაცრი შეფასების აუცილებლობა.

დასკვნის მიხედვით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები სანამ მიიღებენ ნებართვას წარმოებასა და გაყიდვაზე, საჭიროა მათზე დამყარდეს ხანგრძლივი კონტროლი. ასევე აუცილებელია კონტროლი სამომხმარებლო ბაზარზე მათი გასვლის შემდეგ.

სწორედ ამ მიზნით ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის 11 სექტემბერს. ამჟამად, კარტახენას ოქმის მონაწილე მხარედ ითვლება 130 ქვეყანა.

ამ შეთანხმების მიზანია, დაიცვას გარემოს ბიომრავალფეროვნება იმ პოტენციური რისკისაგან, რომელსაც გენმოდიფიცირებული ორგანიზმები შეიცავენ და შექმნას უსაფრთხოების გარანტიები. ის განვითარებად ქვეყნებს საშუალებას აძლევს, დაიცვან ბალანსი ეკონომიკურ პრობლემებსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის. ამ შეთანხმების მიხედვით, ქვეყანას აქვს უფლება, აკრძალოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი, თუ მეცნიერულად ერთმნიშვნელოვნად არ არის დადასტურებული მისი უსაფრთხოება. აგრეთვე აქვს უფლება, მოითხოვოს მწარმოებელი მხარისაგან ზუსტი ცნობები იმ რისკის შესახებ, რომელიც გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ქვეყანაში შემოტანას და გამოყენებას ახლავს თან.

საქართველო 2010 წლის შემოდგომაზე მიუერთდა კარტახენის ოქმის მონაწილე ქვეყნებს. ამჟამად, საქართველოში მიმდინარეობს ბიოტექნოლოგიის იმ მეთოდების

ათვისება, რომელიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს განსხვავება ჩვეულებრივ და გენეტიკურად მოდიფიცირებულ კულტურებს შორის . ეს პირველ რიგში საჭიროა იმისათვის, რომ დაწესდეს კონტროლი ჩვენს ქვეყანაში გენური ინჟინერიის პროდუქციის იმპორტზე, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ექსპორტიორი ქვეყნების თვალში

საქართველოს იმიჯს და არ მისცემს მათსაშუალებას, მიკვლევადობის გარეშე

აწარმოონ ასეთი პროდუქციის საქართველოში იმპორტი.

გუგული დუმბაძე,
ასოცირებული პროფესორი

ორიოდე სიტყვით 2012 წლის 21 დეკემბრის შესახებ

2012 წლის დადგომას ჩვენს პლანეტაზე განსაკუთრებული ეიფორიით და მოლოდინით შეხვდა მსოფლიო მოსახლეობა. ყველაზე აქტუალური ყბადაღებული აპოკალიფსის თემაა, არის თუ არა სამყაროს აღსასრული 2012 წლის 21 დეკემბერი? გავრცელებული აზრით, ამას წინასწარმეტყველებს სამხრეთ ამერიკული მაიას ტომის ხალხთა კალენდარი, იმ მოტივით, რომ კალენდარი სწორედ 2012 წლის 21 დეკემბერს სრულდება. იმის გამო, რომ კალენდარში არ არის მითითებული, თუ რა სცენარით განხორციელდება სამყაროს აღსასრული, მოსახლეობაში გავრცელდა სხვადასხვა ვერსია.

ერთ ერთი ვერსიით დედამიწისაკენ მოემართება პლანეტა სახელწოდებით ნიბირუ, რომელიც ზომით 4 ჯერ აღემატება დედამიწას, და დედამიწასთან ახლო მანძილზე მიახლოება გამოიწვევს სხვადასხვა სახის კატაკლიზმებს მასზე. მაგრამ ეს რომ შეესაბამებოდეს სიმართლეს, დღეისათვის მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც

კი იქნებოდა შესაძლებელი. ათასობით ასტრონომი მთელ დედამიწაზე ყურადღებით აკვირდება ღამის ცას და მსგავსი უცხო სხეული მზის სისტემაში ჯერ არ აღმოუჩენიათ.

მეორე ვერსიით, 21 დეკემბერს დედამიწას ემუქრება მასშტაბური მაგნიტური ქარიშხალი. მაგნიტური ქარიშხალი, მართლაც, ხშირი მოვლენაა, მზის აქტივობა ციკლურად იცვლება და მაქსიმუმს ყოველ 11 წელიწადში აღწევს. მზის აქტივობის შემდეგი მაქსიმუმი 2013 წლის მაისში დადგება. თუმცა იგი არ იქნება გამორჩეული სხვა აქტივობებისაგან და განსაკუთრებულ, დამანგრეველ ზემოქმედებას დედამიწაზე ვერ მოახდენს.

მესამე ვერსიით, ამ დღეს უნდა მოხდეს ე.წ. პლანეტების აღლუმი. პლანეტების აღლუმი (შეერთება) ასტრონომიური მოვლენა, რომლის დროსაც მზე, დედამიწა და მზის სისტემის რამდენიმე პლანეტა განლაგდება ერთ ხაზზე. გავრცელებული მოსაზრებით, ეს მოვლენა გამოიწვევს ძლიერ მიმოქცევებს, და თავის მხრივ, მთელ რიგ კატასტროფებს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, 2012 წლის დეკემბერში არ არის მოსალოდნელი პლანეტების აღლუმი, და მოსალოდნელი რომც იყოს, პლანეტების აღლუმი აბსოლუტურად უწყინარი მოვლენაა. მზის სისტემაში არსებობს მხოლოდ ორი სხეული, რომელთა ზემოქმედებამაც შეიძლება მოახდინოს გავლენა მიმოქცევის მოვლენაზე, ესენია: მთვარე, რომელიც საკმაოდ ახლოა დედამიწასთან და მზე, რომელიც საკმაოდ მასიურია. სხვა დანარჩენი პლანეტები კი დედამიწაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენენ.

ერთ ერთი მოსაზრებით 21 დეკემბერს დედამიწის მაგნიტური ველი შეიცვლის მიმართულებას. მსგავსი მოვლენის განვითარება შესაძლებელია, ბოლოს ველის მიმართულება 740 000 წლის წინ შეიცვალა. მაგრამ მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი მოვლენა მოხდება დეკემბერში, არ არსებობს. გარდა ამისა, მაგნიტური ველის მიმართულების ცვლილება არ გამოიწვევს რაიმე სახის კატასტროფებს. უბრალოდ, მოგვიწევს კომპასების გადაყალიბება, ადამიანების ჯანმრთელობაზე კი განსაკუთრებულ ზეგავლენას არ მოახდენს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მსგავსი მოვლენა ათეულ ათასობით წლების მანძილზე მოსალოდნელი არ არის.



ვერსიები სხვადასხვაგვარია, თუმცა ექსტრაორდინარული განცხადებები მოითხოვს ექსტრაორდინარულ მტკიცებულებებს. მეცნიერების თვალსაზრისით კი 2012 წლის 21დეკემბერს განსაკუთრებული მოვლენა არ ხდება, ის ფაქტი, რომ ამ თარიღით სრულდება მაიას ტომთა კალენდარი არაფერს ნიშნავს. ისე, როგორ ყოველ ახალ წელს სრულდება წლიური კალენდარი და 1 იანვარს იწყება ახალი წელი, მაიას ტომთა კალენდარის მიხედვით სრულდება 5125 წლიანი ციკლი და იწყება ახალი ერა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დღე არაფრით არ იქნება განსაკუთრებული, თუ არ ჩავთვლით, რომ 21 დეკემბერი არის ზამთრის მზებუდობის დღე.

მასალა მოამზადა
იზოლდა ჯაბნიძემ
ასისტენტ პროფესორი
ფიზიკის დეპარტამენტი

ვულოცავ დამდეგ ახალ, 2013 წელს სრულიად საქართველოს, ქართველ ხალხს, ჩემს სტუდენტებს, ძვირფას კოლეგებს. დაე, ეს წელი ყოფილიყოს ულევი სიხარულის, სიყვარულის, წარმატებული საქმიანობის წელიწადი. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიუხვეს და ბედნიერებას.

დიდი პატივისცემით აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტ–პროფესორი
ნუნუ ნაკაშიძე

შობა – ახალ წელს ვულოცავ სტუდენტ – ახალგაზრდობას, მათ ოჯახებს, მეგობრებს. ვუსურვებ კვალიფიციურ განათლებას, ჯანმრთელობას, სიყვარულს, ბედნიერ მომავალს, ერთგულებას სამშობლოსადმი, ღირსეული ტრადიციებისადმი.

შობა – ახალ წელს ვულოცავ ძვირფას კოლეგებს. ვუსურვებ მხნეობას, წარმატებულ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას, ოჯახურ ბედნიერებას.

2013 წლის დადგომას ვულოცავ რექტორატს, ადმინისტრაციას, უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს. ვუსურვებ ღირსეულ საუნივერსიტეტო თანაცხოვრებას.

მშვიდობას, სითბოს, გამრავლებას, სიუხვეს, ხალისიან ურთიერთობებს გისურვებთ მეგობრებო.

გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!!!

უღრმესი პატივისცემით და კეთილი სურვილებით
რევაზ მანველიძე, პროფესორი

წმიდა დიდმოწამე ბარბარე (IVს.) ხსენება 4(17) დეკემბერი

წმიდა დიდმოწამე ბარბარე IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. მამამისი დიდგვაროვანი წარმართი იყო, რომელსაც სახელად დიოსკორე ერქვა. იგი მალე დაქვრივდა. მამამ ერთ ულამაზეს ბაღში შვილისათვის საგანგებოდ ააშენა მაღალი კოშკი, სადაც წმიდა ბარბარე უცხო ხალხისაგან მოშორებით იზრდებოდა. ღვთის განგებით, მან გაიცნო ქრისტიანი თანატოლები და მათგან ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შეიტყო. წმიდა ბარბარემ აღიარა იესო ქრისტე და მამისაგან ფარულად მოინათლა. როდესაც დიოსკორემ შვილის გაქრისტიანება გაიგო, ისე განრისხდა, რომ მამობრივი სიყვარული სულ გადაავიწყდა და შვილი მოსაკლავად გაიმეტა. წმიდა ქალწული თავისი ხელით მიჰგვარა ქალაქის მმართველს, რომელიც არ დასჯერდა წმიდა ბარბარეს წამებას და ბრძანა, ქალიშვილი შიშველი გამოეყვანათ ქალაქში. მაგრამ ამ დროს სასწაული მოხდა - წმიდა ქალწულის სხეული ზეციურმა ნათელმა შემოსა. ამის დანახვაზე გონებადაბნელებულმა მამამ საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერთადერთ შვილს. დიოსკორე და ქალაქის მმართველი იმავე დღეს დაისაჯნენ ამ საშინელი საქციელისათვის, - ისინი მეხმა ფერფლად აქცია.

წმიდა ბარბარე განსაკუთრებით ბავშვების მფარველად ითვლება.

მართლმადიდებელი ეკლესია ქალწულმოწამე ბარბარეს ხსენებას 17 დეკემბერს აღნიშნავს.

ამ დღისთვის ბევრ ქართულ ოჯახში ტრადიციულად ლობიანს აცხობენ. მნიშვნელოვანია, ამ დღეს ვინ შევა ოჯახში პირველი სტუმარი. რადგანაც წმინდა ბარბარე ბავშვების მფარველად ითვლება, ამ დღეს ქართულ ეკლესიებსა და ტაძრებში წირვას ყოველთვის ბევრი ბავშვი ესწრება.

საქართველოში წმინდა ბარბარეს უძველესი დროიდან სცემენ თაყვანს. მარტო თბილისში მისი სახელობის ოთხი ტაძარია, მათგან პირველი მე-8 საუკუნეშია აგებული.

ნიკოლოზობა

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია 19 დეკემბერს ნიკოლოზობის დღესასწაულს - წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის დღეს აღნიშნავს.

წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ მფარველად ითვლება. მარტო თბილისში წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის ხუთი ეკლესიაა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს. 19 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების დღეა, ხოლო 22 მაისს - როცა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის წმინდა ნაწილები მირონიდან ბარში გადაასვენეს.

წმინდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულით სარგებლობს ხალხში, მას სასოებით უხმობს ყველა გასაჭირისას და იგიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. ყველაზე მეტად წმინდანს მეზღვაურები სცემენ თაყვანს.

წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკიის მხარის ქალაქ პათარაში ქრისტეს შობიდან 257 წელს დაიბადა. მის მშობლებს თეოფანეს და ნონას დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ და თავიანთი ქონებიდან გაჭირვებულთათვის უამრავ მოწყალებას გასცემდნენ. ამის გამო ადამიანთა სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ამ სათნოებისათვის და ღვთისმოშიში ცხოვრებისათვის, აგრეთვე გულმხურვალე ლოცვისათვის ღმერთმა მათ ვაჟი უბოძა, მომავალი მღვდელმთავარი და სასწაულთმოქმედი. სასწაულთმოქმედების უნარი წმინდა ნიკოლოზმა შობიდანვე გამოამჟღავნა.

სიყრმიდანვე უყვარდა სახარების კითხვა, ტაძარში სიარული და დიდ დროს უთმობდა გულმოდგინე ლოცვებს. მშობლებიც უწყობდნენ ხელს ბიჭს ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ისინი არა მარტო სახლში, გზაშიც კი არ წყვეტდნენ ნიკოლოზის ქრისტიანულ აღზრდას და მათი სწავლება ისე მტკიცედ გაუჯდა ბავშვს, რომ ბავშვობიდანვე შეიყვარა გლახაკები. არასდროს ისე არ ჩაუვლიდა, სანუგეშო სიტყვა რომ არ ეთქვა და მოწყალება არ მიეცა მათთვის. ამის შემხედვარე ბიძამ, პათარას ეპისკოპოსმა, დაარწმუნა მშობლები, მიეცათ შვილი ღვთის სამსახურში და მათი ნებართვით აიყვანა იგი მღვდლის ხარისხში.

წმინდა ნიკოლოზს არასდროს შეუწყვეტია ტანჯულთა შემწეობა, დამცირებულთა და უსუსურთა განმტკიცება, სათნო საქმეების კეთება. მღვდელთმთავრობისას კი უფრო მკაცრ მოსაგრეობას ეწეოდა, იყო განუწყვეტლივ მღვიძარებაში, მკაცრ მარხვასა და ლოცვაში, სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა სრულყოფილების საფეხურებზე, სულ უფრო უახლოვდებოდა უსხეულო მდგომარეობას.

როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ და მას მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს, წმინდა ნიკოლოზმა მთელი ეს ქონება ღარიბ-ღატაკ ადამიანს შესწია. ყოველივე ამას აკეთებდა უჩუმრად, სხვებისაგან დამალულად.

შემდეგ იგი პალესტინაში გაემგზავრა წმიდა ადგილების თაყვანსაცემად. პალესტინაში წმინდა ნიკოლოზმა მოიარა ყველა წმინდა ადგილი, თაყვანი სცა უფლის საფლავს, გულმხურვალედ ილოცა გოლგოთაზე, უფლის ჯვარცმის ადგილზე. არსებობს გადმოცემა, რომ იერუსალიმის ტაძრის კარები ნიკოლოზის მიახლოებისას

თავისთავად გაიღო და იგი დაუბრკოლებლივ შევიდა მასში.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკოლოზი ქალაქ მირონში წავიდა. იქ იგი ეპისკოპოსად აირჩიეს. აძლიერებდა წმინდა ნიკოლოზი თავის სამწყსოს. იგი მფარველი ანგელოზივით ეცხდებოდა ყველა დევნილს, თავისი სათნო სიტყვითა და ნუგეშით ამხნევებდა ყველას. ამისთვის იგი შეიპყრეს და სხვებთან ერთად დილეგში ჩააგდეს. იგი მხნედ იტანდა შიმშილს, წყურვილს, ტანჯვას. საპყრობილეშიც ქადაგებდა ღვთის სიტყვას, გასცემდა მოწყალებას. ანუგეშებდა იქ მყოფთ თავისი საუბრებით, საპყრობილეც საქადაგებელ ადგილად აქცია. 8 წელი გრძელდებოდა ასე.

გავიდა დრო და მდგომარეობა გამოკეთდა. კონსტანტინე დიდმა, რომელიც დიოკლიტიანეს შემდეგ გახდა იმპერატორი, ქრისტიანთა მფარველობა იწყო და თვითონაც ქრისტიანი გახდა.

მრავალი სასწაული მოახდინა წმინდა ნიკოლოზმა. კარგა ხანს იცხოვრა მღვდელმთავარმა თავის სამწყსოსთან ერთად. დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩაგრულნი მასში პოულობდნენ მსწრაფლშემწეს და მცველს, უბედურნი - მწყალობელს და ნუგეშინისმცემელს; მასთან მოსაუბრენი რწმენაში მტკიცდებოდნენ, წარმართნი სამუდამოდ უარყოფდნენ წარმართობას და ქრისტეს რწმენის მიმდევრები და აღმსარებლები ხდებოდნენ.

წმინდა ნიკოლოზი 342 წლის 6 დეკემბერს ღრმად მოხუცებული (85 წლისა) გარდაიცვალა. მისი სხეული საზეიმოდ დაკრძალეს ქალაქის საკათედრო ტაძარში. მისი უხრწნელი ნაწილები მაშინვე გამოსცემდნენ კეთილსურნელებას და მირონს. მისი შეხებით სნეულნი იკურნებოდნენ. მრავალი საოცრებანი ხდებოდა მის კუბოსთან. ამის შესახებ ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს ქვეყანაში და მლოცველთა ტალღამ ტაძრისაკენ იწყო დენა.

წმინდა სასწაულთმოქმედი სიკვდილის შემდეგაც არ სტოვებს თავის სამწყსოს, დღესაც მფარველობს მწუხარეთ და ტანჯულთ, განსაცდელში მყოფთ, მძიმე სნეულთათვისაც კვლავ წარმოადგენს კურნების უშრეტ წყაროს. სიკვდილის შემდეგ მამა ღმერთმა მეტი სასწაულთმოქმედების ნიჭი უბოძა. მისი ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ დასაწყისი იყო იმ მრავალრიცხოვანი საოცრებებისა, იმ სიკეთისა და სათნოებებისა, რომელთა კეთებასაც იგი დღესაც განაგრძობს.

ქრისტეშობა – ხორცშესხმა უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი

ტროპარი: „შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ, ვარსკულავისაგან ისწავეს თაყუანის-ცემაჲ შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთად, უფალო დიდება შენდა.“

კონდაკი: „ქალწული დღეს არსებად უზესთაესსა შობს ჩვენთვის, და ქუეყანა ქვაბსა შეუხებელსა შესწირვენ, ანგელოსნი მწყემსთა-თანა დიდების მეტყუელებენ, ხოლო მოგვნი ვარკულავისა-თანა მოზაურობენ, რამეთუ ჩუენთვის იშვა ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი.“

* * *

მაცხოვარი სოფლისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან იშვა იუდეის ბეთლემში იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიანეს დროს. იმ ხანებში გამოვიდა ბრძანება, აღეწერათ რომის მთელი იმპერიის მოსახლეობა, რომლის ერთ პროვინციასაც პალესტინა წარმოადგენდა. ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ, საყოველთაო აღწერები ტომებისა და გვარების მიხედვით ჩაეტარებინათ. თითოეულ ტომსა და გვარს თავისი ქალაქები და მამამთავართა სახელებთან დაკავშირებული ადგილები ჰქონდა. რადგან მარიამი და იოსები დავით მეფის შთამომავლები იყვნენ, აღწერისთვის დავითის ქალაქში – იუდეის ბეთლემში ჩავიდნენ. ბეთლემში ჩასული მარიამისა და იოსებისთვის არც ერთ სასტუმროში არ აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი და ისინი იძულებულნი გახდნენ, ქალაქის განაპირას მდებარე ერთ გამოქვაბულს შეჰფარებოდნენ, რომელიც უამინდობისას პირუტყვთა სადგომს წარმოადგენდა. ამ გამოქვაბულში, პირუტყვთა საკვებად და საფენად მიმობნეულ თივასა და ჩალაში, ზამთრის ცივ ღამეში იშვა მაცხოვარი სოფლისა. უმტკივნეულოდ ნაშობი ჩვილი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავად გაახვია სახვევებში და ბაგაში მიაწვინა, „რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას“ (ლკ. 2,7). შუაღამის სიჩუმეში, მახლობლად, სოფელში მწყემსები „ველთა დგებოდეს და ჴუმილვიდეს საჴუმილავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა“. ანგელოზებმა პირველად სწორედ მათ ახარეს მხსნელის განკაცება: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა“ (ლკ. 2,10-11). მწყემსებმა გულითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით თაყვანი სცეს ახალშობილ ჩვილს. მათ შემდეგ ახლად გაბრწყინებული უჩვეულო ვარსკვლავის წინამძღოლობით „მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად. თაყუანისცემად მისა“ (მთ. 2,1-2) და, როცა იხილეს ყრმა მაცხოვარი, „დავარდეს და თაყუანის-სცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა, და შეწირეს მისა ძღუენი: ოქრო, გუნდრუკი და მური“ (მთ. 2,11): ოქრო – როგორც მეფეს, გუნდრუკი – როგორც ღმერთს და მური – როგორც ადამიანს.

ქრისტეშობის დღესასწაულს ეკლესია პირველი საუკუნიდან აღნიშნავს. მოციქულთა კანონებში ვკითხულობთ: „შობის დღესასწაულს უნდა უქმობდნენ, რადგან იგი ადამიანებს აძლევს სიხარულს მარიამ ქალწულისგან ამ სოფლის გადასარჩენად ღვთის სიტყვის შობით“.

გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს!

კეთილი სურვილებით მინდა მოგმართოთ თქვენ, ჩვენს სტუდენტებს, ქვეყნის იმედსა და მომავალს, ლექტორ-მასწავლებლებს, ვისაც ახალი თაობის აღზრდის საპატიო და საპასუხისმგებლო მისია გვაკისრია, ყველას, ვისთვისაც მშობლიური და ძვირფასია ჩვენი უნივერსიტეტი – რექტორატსა და ადმინისტრაციას. სულის სიმშვიდე, სიკეთე, სიუხვე მოეტანოს მას თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი სათაყვანებელი საქართველოსთვის.

წარმატებულ და ბედნიერ წელს გისურვებთ. უფალი გფარავდეთ!

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

მარინა ქორიძე

ღვაწლმოსილი პედაგოგის აკაკი ზოიძის 70 წლის იუბილე აღინიშნა

განათლების აკადემიური დოქტორის, სრული პროფესორის, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოს აკაკი ზოიძის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, კოლეგებმა და საზოგადოების წარმომადგენელმა იუბილარის მიღწევებზე ისაუბრეს და ღვაწლმოსილ პედაგოგს მნიშვნელოვანი დღე მიულოცეს. საიუბილეო საღამოს ფარგლებში სკოლა ნიკეს მოსწავლეებმა ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენა „ვაჰ, დრონი, დრონი!“ გამართეს.

აკაკი ზოიძემ წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა მშობლიურ სოფელში, ბრიღში, 1971 წლიდან აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, სადაც აჭარა-გურიისა და ფოთის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მასწავლებლის საპატიო ფუნქცია დაეკისრა. იგი სამი ათეული წელი ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატების საქმეს, ნაყოფიერად საქმიანობდა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1976-1992 წლებში კითხულობდა ლექციებს პედაგოგიკაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბატონი აკაკი ზოიძე ამჟამად, მუშაობს ბათუმის სამედიცინო პედაგოგიურ კოლეჯში. იგი ნაყოფიერად საქმიანობს ჟურნალისტიკაში. არის შესანიშნავი წიგნების, მეცნიერული ნაშრომების, ნარკვევებისა და სტატიების ავტორი, დაჯილდოებულია მრავალი დიპლომით, „სახალხო განათლების წარჩინების სამკერდე ნიშნით, იაკობ გოგებაშვილის მედლით. მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემია.

ნაჩუქარი წიგნები

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა პროფესორ მალხაზ სიორიძის რედაქტორობით გამოცემული წიგნი: „ბა-

თუმი II - წარსული და თანამედროვეობა“. სამეცნიერო კრებული ეძღვნება ჩვენი კოლეგისა და მეგობრის მალხაზ სიორიძის ნათელ ხსოვნას. ბატონმა მალხაზმა კარგი ტრადიცია დაგვიტოვა. ყოველი წლის შემოდგომაზე ბათუმელი და თბილისელი კოლეგები ბათუმში სამეცნიერო კონფერენციაზე ხვდებიან ერთმანეთს და თითო წიგნით ავსებენ და ამდიდრებენ ბათუმის ისტორიას. წიგნი II. ბათუმის შესახებ მოიცავს 433 გვერდს. მასში წარმოდგენილია 53 ქართველ და უცხოელ მეცნიერის ნაშრომები წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, ისტორიასა და არქეოლოგიაში, ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიაში, რელიგიასა, განათლებასა და კულტურაში, ეკონომიკა - ტურიზმში და ა.შ.

სიმონ გოგიტიძე ნაშრომში „ევსეფი კესარიელის“ ცნობა ბათუმის შესახებ, აკად. გ. მელიქიშვილის მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე კოლხეთის მეფე აეტის სამეფო რეზიდენციას განსაზღვრავს ჭოროხის მიდამოებში, მდინარე ფაზისს ჭოროხის, ხოლო კოლხურ ტოპონიმ მენტეს ბათუმის შესატყვისად თვლის. უნდა ითქვას ისიც, რომ აწ განსვენებული, ცნობილი ქართველი არქეოლოგი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ იქ სადაც მდინარე ფაზისი შავ ზღვას უერთდება, ჩვენ არ გაგვაჩნია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი, ამიტომაც რთულია აღნიშნულ ადგილას ამ უძველესი ცივილიზაციის ლოკალიზება. სიკვდილის ბოლო ჟამს, ბატონი ოთარი ამ პრობლემური საკითხის შესწავლის მიზნით აპირებდა საფრანგეთის ქალაქ ნანტის ზღვის ცივილიზაციების შემსწავლელი ლაბორატორიის მუშაკთა ჩამოყვანას, მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა. ამ რთული პრობლემის გადაწყვეტას აფერხებს ისიც, რომ საქართველოში ვერ განვითარდა ზღვის ცივილიზაციებს შემსწავლელი არქეოლოგია.

მკვლევრები — მერაბ და რევაზ უზუნაძეები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან XX საუკუნის ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ.

თბილისელი კოლეგა — მზია ტყავაშვილი განიხილავს XX საუკუნის დასაწყისის რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებს ბათუმის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ.

მკვლევარი თამარ გოგოლაძე ქართველ და უცხოელ მწერალთა სამოგზაურო ჩანაწერების და მემუარების განხილვის საფუძველზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს XX საუკუნის ბათუმის იერსახის შესახებ და გვპირდება, რომ მომავალში შესაბამისი კვლევა გაგრძელდება. ამ და სხვა მნიშვნელობის საინტერესო პრობლემურ საკითხებს გაეცნობა მკითხველი აღნიშნულ კრებულში.

• •

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის გიორგი ჯანბერიძის რედაქტორობით გამოშვემული ალბომი „აჭარის თანამედროვე მხატვრობა“. ალბომის გარეკანს ამშვენებს ბათუმელი მხატვრის, შარაშიძეთა საგვარეულო ტრადიციების ღირსეული წარმომადგენლის — ვლადიმერ შარაშიძის „საუკეთესო ნამუშევარი „ბათუმის სანაპირო“. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ,



რომ ვლადიმერ შარაშიძე ინგლისური რომანტიზმის გახსენებით წარსულ სტილს ახლებურ მეტყველებას ანიჭებს, მისი ფერწერა დახვეწილია, ოსტატურად გადმოსცემს ზღვის მიმზიდველობის ძალას, მის ბუნებას. ალბომში წარმოდგენილი და დახასიათებულია აჭარაში მოღვაწე 48 მხატვრის ასამდე ნამუშევარი, რომლებიც ძირითადად მიეკუთვნება ნეორეალიზმის, ჰიპერრეალიზმის, აბსტრაქციონიზმის, ნეომოდერნიზმის და თანამედროვე ხელოვნების სხვა მიმართულებებს.

• •



მწერალმა და ნოველისტმა — რევაზ მიშველაძემ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მისი სახელმძღვანელო წიგნი „კულტურა და თანამედროვეობა“. ავტორი მხატვრული აზროვნების შედეგად შექმნილ მონაპოვარს კულტურას მიაკუთვნებს იმის გამო, რომ კარგა ხანია ცივილიზაციას და კულტურას ერთმანეთში ურევენ. პროფესორმა რევაზ სირაძემ კულტუროლოგიაში დაამკვიდრა მცნება სახისმეტყველება, მხატვრული სახეებით აზროვნება და ქართული კულტურის შინა სახედ აღიარა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ანალოგიურ აზრს ანვითარებს ზ. გამსახურდია წიგნში ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველებისათვის (Язык образов) პროფესორი რევაზ მიშველაძე ერთმანეთისგან განასხვავებს შემეცნების და მხატვრულ აზროვნებას და ერთგან ასკვნის, რომ შემეცნებითი ანუ მეცნიერული აზროვნება მხატვრულთან შედარებით უფრო დაბალი საფეხურია. მკვლევარი შემეცნებითი აზროვნების პირველ ნიშნებს ადამიანის მიერ ქვის იარაღის და ცეცხლის გამოყენებაში ხედავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანის მიერ შექმნილ და გამოგონილ ყოველ მატერიალურ საგანში სულიერიც დევს და აქედან გამომდინარე, აზროვნების ეს ორი სახე ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, ერთმანეთს ავსებს და ამთლიანებს. ავტორი წიგნში გა-



ნიხილავს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა ქართული კულტურის ადგილი მსოფლიოში, კულტურა და ეროვნული ფენომენი, გლობალიზაცია და კულტურა, კულტურა და სახელმწიფო, კულტურა და მეცნიერება და ა.შ.

• •

მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორმა, ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა შოთა მახარაძემ სამეცნიერო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა მისი მორიგი მე-9 წიგნი „რიცხვითი სისტემები“ (ლექციების კურსი).

ყოველ რიცხვს საკუთარი ფილოსოფია, ახსნა-განმარტება, შემეცნების საფუძვლები გააჩნია. ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი კანონი, რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის კანონი ქართველი მამლუქების მაგალითზეა აგებული, რომ ერთი მამლუქი თავისი ვაუკაცური თვისებებით 6 ფრანგს უდრიდა. ბრძენი ამბობდა, რომ რიცხვის გარეშე არავითარი ფილოსოფიური მსჯელობა არ იგება. წარმოდგენილი ნაშრომის ყოველი პარაგრაფი გამოჩენილი მათემატიკოსთა და ფილოსოფოსთა ბრძნული გამონათქვამებით იწყება და მკვლევარის ჭეშმარიტი აზრებით განისაზღვრება, მასში თანმიმდევრობითაა გაანალიზებული ნატურალურ, მთელ, რაციონალურ ნამდვილ, კომპლექსურ რიცხვთა და კვატერნიონთა აქსიომატური თეორია, წიგნში არსებული აბსტრაქტული ცნებები შესაბამისი მაგალითებითაა შეჯერებული. თვითეული თავის ბოლოს განმაზოგადებელი დასკვნები და სავარჯიშოებია წარმოდგენილი. მკვლევარი ასაბუთებს, რომ თუ შეხედულებებს რიცხვებზე განსაზღვრულ ჩარჩოებში შევზღუდავთ (კერძოდ, თუ შევეგუებით გამრავლების კომუტაციურობის თვისების „დაკარგვას“, მაგრამ არ გვინდა „დავკარგოთ“ ასოციაციურობის თვისება) მაშინ სხვა რიცხვები არ არსებობს. წიგნში განხილულია აქსომატურ თეორიათა არაწინააღ-



მდეგობრიობის საკითხები. დამტკიცებულია ერთსახელიან რიცხვითი სისტემის იზომორფიზმი. ყოველი რიცხვითი სისტემის აქსიომატური განსაზღვრის საფუძველზე დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. განხილულია ორმაგი და დუალური რიცხვები.

• •

პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთ უმთავრეს რეგიონს აჭარა-გურია წარმოადგენს. ამ რეგიონთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს მეცნიერმა არაერთი მონოგრაფია, სტატია თუ წერილი მიუძღვნა. მკვლევარმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მისი ახალგამოცემული წიგნი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910წწ“ ნაშრომის ისტორიოგრაფიულ ნაწილში, ავტორი საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ტენდენციური ხასიათის ნაწარმოებების კრიტიკული მიმოხილვის საფუძველზე მიუთითებს მათ როგორ დადებით, ისე უარყოფით ნიშნებზე.წიგნში ობიექტურად, ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენების შეჯერების, ლოგიკურად განსჯის საფუძველზე განხილულია 1900-1910 წლებში. აჭარაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საკითხები ასევე წარმოჩენილია აჭარაში ამ პერიოდში მოქმედი ტერორისტული ჯგუფების საქმიანობა, ქართველი ქრისტიანების და მაჰმადიანების დაპირისპირება, რუსეთის ხელისუფლების მიერ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ნაშრომში მკვლევარი ახლებურად წარმოაჩენს აჭარაში ამ პერიოდში მიმდინარე ეროვნული მოძრაობის საკითხებს, სომხური და რუსული ნაციონალისტური პარტიების ანტიქართულ საქმიანობას, რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველი მუსლიმი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. ნაშრომში მკვლევარს გამოყენებული აქვს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის, აჭარის სახელმწიფო არქივისა და მუზეუმის ძირითადი ფონდები, X-IX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე მხატვრულ-მემუარული თუ ემიგრანტული ხასიათის ლიტერატურა. წიგნი ილუსტრირებულია მდიდარი ფოტო დოკუმენტური მასალაით. ნაშრომში არსებული თვალსაჩინოება, ისტორიული პორტრეტები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ პერიოდის ბათუმის იერსახის შესახებ.

მოამზადა
მერამ მეგრელიშვილმა

ტრადიციულად, წინასაახალწლო პერიოდი ეთმობა გასული წლის მოვლენების გახსენებას, შეჯამებას, შეფასებასა და გაანალიზებას...

დიახ, წელი იყო საინტერესო, დატვირთული, სავსე პერიპეტიებით - ყველანი ერთად კიდევ ერთი წლით გავიზარდეთ, ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი ვასწავლეთ, ადამიანები შევიძინეთ, ზოგიც დავკარგეთ... ახლა ყველას გვაერთიანებს კეთილი მოლოდინი მომდევნო წლისა, იმედი კეთილდღეობისა, წინსვლისა და გამარჯვებისა - სწორედ ამ ყველაფერს ერთად გისურვებთ ჩემო თანაქალაქელებო, სტუდენტებო, კოლეგებო და სრულიად ქართველებო!

გილოცავთ ახალ 2013 წელს და გისურვებთ გეტარებინოთ ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში. - ღმერთი გვფარავდეთ!

ვახტანგ ბერიძე,
ასოცირებული პროფესორი

დგება ახალი წელი, განათლებასა და მეცნიერებაში გონიერი რეფორმის ჩატარების აუცილებლობა სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს ქართულ უნივერსიტეტებს.

ბათუმის უნივერსიტეტს, მის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს ვუსურვებ ბედნიერ ახალ წელს და დიდ წარმატებებს.

მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
ვლადიმერ ბალაძე

მოგესალმებით ყველას!

მთელი გულით ვულოცავ ჩვენს უნივერსიტეტს შობა-ახალ წელს, რექტორატს, ადმინისტრაციას კოლეგებს და განსაკუთრებით სტუდენტებს. წარმატებული, კარგი სიახლეების მომტანი ყოფილიყოს მომავალი წელი, გისურვებთ წარმატებებს, უფალი გვფარავდეს.

საუკეთესო სურვილებით
ცირა ცეცხლაძე,
ასისტენტ პროფესორი

ვილოცავთ 2013 წლის შემოგრძანებას!

2013 წელი აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით წყლის გველის წელია

2013 წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით გველის წელს განეკუთვნება. ამ წლის კოსმიური ელემენტია – წყალი, ფერი – შავი. ამ წელს შეესაბამება ასევე ლურჯი (ცისფერი) და მწვანე ფერები.

წლის სტიქია წყალია. მისთვის დამახასიათებელია მოძრაობა, დინამიურობა და ცვალებადობა. გველის წელი ოფიციალურად 10 თებერვალს, თბილისის დროით 10:21 წუთზე მოვა.

2013 წლის თილისმა წლის შავი გველია. შავი ფერი ეს არის კოსმოსი, ეს არის ღრმა წყლების ფერი. შავ გველს ადამიანებისთვის მოაქვს შენიღბული ცვლილებები, ცვალებადობა, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ამ წელს ყველაფერი წინასწარ იყოს შეფასებული და დაგეგმილი.

მზად იყავით ცხოვრებაში ცვლილებებისკენ, უეცარი რეაგირებისკენ, რათა სიტუაცია სათქვენოდ გამოიყენით.

ამ წელს აუცილებელია გავაძლიეროთ ინტუიცია, ვისწავლოთ მასზე დაყრდნობით ცხოვრება და მისივე მიხედვით არჩევანის გაკეთება.

აუცილებელად ყური დაუგდეთ სხვების აზრებს, გაითვალისწინეთ მათი რჩევები, სიჯიუტე, ერთპიროვნული გადაწყვეტილებები – წარმატებას ვერ მოგიტანთ. შეეცადეთ სწორად გააკეთოთ არჩევანი და გამოიყენოთ პრიორიტეტები.

წესით, 2013 წელი ბევრ საქმესთან და შრომასთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ, შესაძლოა, ხშირად უფრო გაღიზიანებულად იგრძნოთ თავი. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას. აუცილებელია განტვირთვა და დასვენება.

თუ თქვენ „გველურ“ სიბრძნესა და სიძლიერეს გამოიჩენთ, დაეხმარებით მეგობრებს, კეთილგანწყობილები იქნებით გარშემომყოფთათვის, მაშინ ბედი ბევრად მოწყალე იქნება თქვენს მიმართ და წარმატების მიღწევაც ერთი ორად მოიმატებს.

ამ წელს მრავალი ადამიანის ცხოვრებაში გაჩნდებიან ახალი მეგობრები და კოლეგები. გველს არ უყვარს ტყუილი და ამიტომ აუცილებელია ყველაფერი სიცრუის გარეშე გაკეთდეს.

ეს წელი სასიკეთოა სამეცნიერო სამუშაოებისთვის, სწავლისთვის, პროფესიის არჩევისთვის. ყველაზე მეტად გაუმართლებთ განათლებულ, ინტელექტუალურ და შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანებს. წარმატებას უნდა ელოდნენ ასევე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები. პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს წარმატება ელოდებათ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენას შეძლებენ.

გველი ჰოროსკოპის ერთ–ერთი ყველაზე იდუმალი ნიშანია. ის მზაკვარი და შურისმაძიებელია. უყვარს სხვებისთვის თავისი ჩვევების თავსმოხვევა და აჯილდოებს მხოლოდ მათ, ვინც მის წესებს მისდევს.

იმისთვის, რომ მთელი წლის მანძილზე არ მოგაკლდეთ გველის კეთილგანწყობა, აუცილებელია სწორად შევხვდეთ მას და ასე ვთქვათ – მისი გული მოვიგოთ.

როგორ შევხვდეთ გველის წელიწადს?

საერთოდ, გველს არ უყვარს აურზაური, ხმაური და ზედმეტი მოძრაობები. ის სიმშვიდის მოყვარულია. 2013 წელს წინა წლებისგან განსხვავებით უნდა შევხვდეთ მოკრძალებულად და მშვიდად ანუ ოჯახის წევრებთან, უახლოეს ადამიანებთან, ერთგულ მეგობრებთან ერთად მყუდრო, თბილ, ოჯახურ გარემოში.

საახალწლო სუფრისთვის მზადება დაიწყეთ იმით რომ, მაგიდაზე პირველად დადეთ ლარნაკში მოთავსებული ნაძვის ტოტი, ნაძვი აღმოსავლეთში ხანგრძლივი სიცოცხლის მაჩვენებელია და დღეგრძელობა დაიბედეთ.

ნაძვის ტოტზე აუცილებლად ჩამოკიდეთ ამ წლის სიმბოლო – პატარა გველის გამოსახულება. შეგიძლიათ მეორე ვარიანტიც – მრგვალ, გამჭვირვალე პატარა ჭურჭელში ჩააფინეთ ხავსი, ჩააწყვეთ კენჭები, დადეთ ხის ტოტები და მასზე მოათავსეთ „გველუკას“ გამოსახულება. მას ასეთი ყურადღება ნამდვილად ესიამოვნება.

სუფრაზე დაიცავით ზომიერება, ვინაიდან გველი ყაირათიანია და გაუმართლებელ ხარჯებს არ მიესალმება.

აუცილებელია ზღვის პროდუქტები – თევზეული და ხიზილალა. ვისაც სურს, შეუძლია ქათმის და კურდღლის ხორცისგან მოამზადოს გველის ფორმის სალათი. არ დაგავიწყდეთ უმი კვერცხისა და ლამბაქით რძის დადება!

გულხვავად გაუმასპინძლდით წლის მთვარ სტუმარს!

დაიმახსოვრეთ, ეს წელი უამრავ მოულოდნელობასა და სასიკეთო ცვლილებებს გპირდებათ!

ბედნიერ, წარმატებულ და ბარაქიან წელს გისურვებთ!!!

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე
უჩა აბრამიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
სს „პოლიგრაფისტში“
27-59-10, 27-59-11
მის.: ქ. ბათუმი,
გორგილაძის 91